ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 16 ნოემბერი, 2023 №226 (9262) ფასი: 80 თეთრი

გვ.3

გურამ ელიზბარაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა

რამდენი იქნება პარლამენტის ყოფილი დეპუტატების ანგარიში ზედა ზღვარი, რომელიც მომავალი წლიდან დაწესდება

გვ.4

„რატომ გგონიათ, რომ სალომე ზურაბიშვილი „ქართულ ოცნებაზე“ უკეთესი ძალა იქნება?!“

გვ.2

ნინო ბურჯანაძე:
„კატასტროფული შეცდომა იყო ოპოზიციის მხრიდან იმის ძახილი, რომ აი, „ოცნებას“ სტატუსი არ უხარია. ზოგიერთ ოპოზიციონერსაც არ ჰქონდა მაინცდამაინც გახარებული სახე, როდესაც ეს გადაწყვეტილება მოისმინა“

გვ.3

დავით ჭიჭინაძე:
„რომელი რეფორმის გამტარებლები ესენი არიან, ქვეყნიდან ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბის და მათ ვერაფერს სთვაზობენ, გარდა იაფი ბილეთისა“

„ქართულ ოცნებას“ მერაბიშვილის ხელდასმული ხაბეიშვილი და ვაშაძე დაამარცხებენ?!

გვ.3

„ეროვნული ბანკი რამდენიმე კომერციული ბანკის მომსახურების სააგენტოა“

ნიკა შენგელია: „რთული და გაჭირვებული ზამთარი და გაზაფხული გველის. ყურძენი მაღაზიაში 4-5 ლარი არცერთ წელს არ ღირდა“

პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები ობიექტების რუსეთისთვის მიყიდვის წინააღმდეგ გაერთიანდნენ

გვ.4

ოკუპანტი რუსეთი აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონს ელექტროენერგიის გადასახადს აღარ უფარავს

ამბები აფხაზეთის ომიდან

„ისე ახლოს არიან მომხდურები, მათ საზიზღარ სუნსაც ვგრძნობ“

გვ.5

მაცარისთვის ქართველი გარემარბი არის ძვირფასი ქვა, რომელსაც მტვერი უნდა ჩამობერტყოს და გაბრწყინდება

გვ.7

2 „შრომით ბაზარზე ფარმაცევტების დეფიციტი დამატებით რისკს წარმოადგენს“

6 მამაკაცმა სანტექნიკოსი მძევლად აიყვანა

5 ნერვული დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

6 სტოლტენბერგი: უკრაინისადმი დახმარება უნდა გაფართოვდეს!

1993230720223

„რატომ გგონიათ, რომ სალომე ზურაბიშვილი „ქართულ ოცნებაზე“ უკეთესი ძალა იქნება?!“

ნინო ბურჯანაძე: „კატასტროფული შეცდომა იყო ოპოზიციის მხრიდან იმის ძახილი, რომ აი, „ოცნებას“ სტატუსი არ უხარია. ზოგიერთ ოპოზიციონერსაც არ ჰქონდა მაინცდამაინც გახარებული სახე, როდესაც ეს გადაწყვეტილება მოისმინა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ნინო ბურჯანაძე პასუხობს.

– ქალბატონო ნინო, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებს საშინაო თუ საგარეო კუთხით? თქვენთვისაც ცნობილია, რომ კანდიდატის სტატუსზე დადებითი რეკომენდაცია მიიღო ქვეყანამ. თუმცა, ამას თან ახლავს თავის პირობები. რა მოლოდინები გაქვთ „ოცნების“ ხელისუფლების პირობებში?

– პირველ რიგში, მინდა დიდი სიხარული გამოვხატო, კიდევ ერთი ჩემი პროგნოზი ახდა. თქვენთან ინტერვიუშიც არაერთხელ მითქვამს დარწმუნებით, რომ სტატუსს მოგვცემდნენ. ძალიან მიხარია, რომ ეს პროგნოზი ახდა. ეს ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის. მინდა გულწრფელად მივულოცო ჩვენს ხალხს, რადგან ეს ქვეყნისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი და ძალიან დიდი წარმატება.

– ოპოზიციას რომ მოვუსმინოთ, მათი დამსახურებით მოხდა ეს ყველაფერი, ხელისუფლება ხომ იბრალებს და იბრალებს ამ ყველაფერს.

– მე ასე ვიტყოდი, რომ ეს არის ყველას დამსახურება. დამსახურებაა ყველა თაობის, რადგან თაობები იბრძოდნენ ამისთვის. ასევე, ყველა ხელისუფლებისა და ყველა ოპოზიციის. ათეულობით წლები მთელი საქართველო იბრძოდა ამ სტატუსის მოსაპოვებლად. რა თქმა უნდა, ეს არის ქართველი ხალხის ძალიან დიდი და განსაკუთრებული დამსახურება.

– როგორი გაგრძელება ექნება ამ ყველაფერს?

– ახლა ჩვენ უნდა გვესმოდეს ერთი რამ, ქართველები საერთოდ მაქსიმალისტებიც ვართ და ჩვენი მაქსიმალიზმი ხანდახან ნამდვილად პრობლემებს გვიქმნის ხოლმე. დღეს ჩვენ ადეკვატურად უნდა შევაფასოთ მოვლენები და უნდა გვესმოდეს ის, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ ერთი ნაბიჯი, რომელიც ჩვენ გადავდგით ევროპისაკენ. ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. თვითონ გაწევრიანების პროცედურა ძალიან ხანგრძლივია. ეს ყველა ქვეყნისთვის ხანგრძლივი პროცედურაა, ეს უნდა გვესმოდეს. ძალიან ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი და ეს კარგად უნდა გავაცნობიეროთ.

რაც შეეხება იმას, ხელისუფლება იბრალებს თუ ოპოზიცია, ამას მნიშვნელობა არ აქვს. ეს არის ისეთი საკითხი, რომელიც ყველას დამსახურებაა. სამწუხარო იცით რა არის? სტატუსის მიღების დღესაც კი, არ გვეყო იმისი ძალა და უნარი, რომ ერთმანეთის ლანძღვა-გინება არ დაგვეწყო და ყველას ყველასთვის მიგველოცა. ეს ძალიან სამწუხაროა. სწორედ ეს არის ის, რაც ევროპელობისგან ასე გვაშორებს.

– მოგვიწოდებენ დეპოლარიზაციისკენ და ალბათ ძალიან გაუჭირდება ამის გაკეთება ქართულ პოლიტიკურ სპექტრს.

– დეპოლარიზაცია ნამდვილად გაუჭირდება, ამის სურვილი და მცდელობა არ არის არც ერთი მხრიდან, არც მეორე მხრიდან. დეპოლარიზაცია რა არის? დეპოლარიზაცია არის კულტურა, შეგვეძლოს ერთმანეთთან საუბარი, როგორი განსხვავებული ხედვა და განსხვავებული აზრიც უნდა გვქონდეს. სამწუხაროდ, ეს სურვილი არ არის არც ოპოზიციაში და არ არის არც ხელისუფლებაში.

– ქალბატონო ნინო, ერთ-ერთი მთავარი პირობა დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაა. რა მოლოდინი გაქვთ? შეძლებს „ქართული ოცნება“, ჩაატაროს დემოკრატიული არჩევნები? უკვე გვესმის განცხადებები მათი მხრიდან, რომ თავისუფლად აიღებენ 100 მანდატს და ასე შემდეგ. ეს რაზე მიანიშნებს? საუბარია, რომ ძალიან დიდი მნიშვნელობა მიენიჭება 2024-ის არჩევნებს.

– რა თქმა უნდა, 2024 წლის არჩევნები ძალიან მნიშვნელოვანია. არ მაქვს იმის მოლოდინი, რომ იდეალურ არჩევნებს ჩაატარებს „ქართული ოცნება“, თუმცა, პირდაპირ გეტყვით, სამწუხაროდ, ოპოზიცია ისე სუსტად და ცუდად გამოიყურება, რომ შეიძლება განსაკუთრებული გაყალბებაც არ დასჭირდეს „ოცნებას“ იმისათვის, რომ მოიგოს. თუ ასე გააგრძელა ქართულმა ოპოზიციამ, სამწუხაროდ, ოპოზიციის მომხრეთა უმრავლესობა, უბრალოდ, დარჩება სახლში. ოპოზიციის არათანმიმდევრულმა მოქმედებებმა, თუნდაც ის, რაც სტატუსთან დაკავშირებით გამოჩნდა, როდესაც ვერაფრით ჩამოყალიბდნენ გვაძლევდნენ-არ გვაძლევდნენ, ვიყავით ღირსი თუ არ ვიყავით, ასეთმა ვითარებამ ძალიან ცუდად იმუშავა ოპოზიციაზე.

– ახლა ბარიერის დაწევას ითხოვს ოპოზიცია. ხელისუფლება კი აცხადებს, რომ ბარიერს არ დაწევს. არის შანსი, რომ რამე შეიცვალოს? ან ეს თუ უშველის ოპოზიციას?

– 2%-მდე დაწევის შემთხვევაში, ოპოზიციისთვის გაცილებით მარტივდება ვითარება. არ ვიცი, „ქართული ოცნება“ რას იზამს, მაგრამ რაც შეეხება დღევანდელ ვითარებას, დღევანდელ ვითარებაში ოპოზიცია ვერაფრით ჩამოყალიბდა იმასთან დაკავშირებით, რომ გააცნობიეროს, ფაქტობრივად, ნაციონალური მოძრაობის გარდა, არცერთ ოპოზიციურ პარტიას არ აქვს იმის შანსი, რომ დამოუკიდებლად ბარიერი გადალახოს. დღეს ოპოზიციის აბსოლუტური უმრავლესობა გადართულია არა ხელისუფლების ლანდშაფტის შეცვლაზე, არამედ გადასულია იმაზე, როგორმე პარლამენტში მოხვდეს, როგორმე ბარიერი გადალახოს, სხვა არაფერი აინტერესებთ. ამას ამომრჩეველიც კარგად ხედავს და როცა ყველა ხვდება, რომ ოპოზიციის ამოცანაა მხოლოდ პარლამენტში მოხვედრა და არა რეალური ცვლილება, რა თქმა უნდა, ადამიანებსაც გული უცრუვდებათ და დიდი სურვილი, რომ არჩევნებზე თავი მოიკლან, აღარ აქვთ.

– ნაციონალური მოძრაობა ახსენეთ და გარედან ძალიან ცუდი საყურებელია, რაც ამ პარტიაში ხდება.

– არა, მე მათზე არაფერს ვიტყვი, ჩემი საქმე არ არის, კომენტარი ვაკეთო იმაზე, რა ხდება სხვა პარტიის შიგნით. რა და როგორ უნდა იყოს, ეს თავად ნაციონალურმა მოძრაობამ და მათმა მომხრეებმა გადაწყვიტონ. ზოგადად, რომ ოპოზიციაში კარგი სურათი არ არის, ეს, სამწუხაროდ. ფაქტია.

– რა უნდა გაკეთდეს? რა უნდა შეცვალოს ოპოზიციამ? ან მცირედი შანსი მაინც თუა კოალიციური მთავრობის? ახლა საუბარია იმაზეც, რომ შესაძლოა, პრეზიდენტი გააქტიურდეს და გარკვეული ოპოზიციური ძალები შემოიკრიბოს. ამას რამდენად ელით? ან პრეზიდენტის როლს რამდენად ხედავთ ამ ცვლილებებში?

– ვერაფერს გეტყვით, რადგან მე არ ვიცი, პრეზიდენტს რა ვალდებულებები აქვს, რა კონკრეტული გეგმები. ამიტომ ვერაფერს გეტყვით. სიმართლე გითხრათ, პრეზიდენტთან დაკავშირებით კითხვები მაქვს.

– რას გულისხმობთ?

– მე მაქვს კითხვები იმასთან დაკავშირებით, რომ შეიძლება ეს იყოს შეთანხმებული თამაში, მაგრამ თუ პრეზიდენტი თავის ქმედებებით ამ კითხვებზე ეჭვს გამიქარწყლებს, მე მხოლოდ გამიხარდება.

– ქალბატონო ნინო, დღეს ბევრს საუბრობენ იმაზე, რომ კანდიდატის სტატუსის მიღების შემდეგ, ბიძინა ივანიშვილს აუცილებლად დასჭირდება „ქართულ ოცნებაზე“ უკეთესი ძალა და არა ასეთი რადიკალური. შესაძლოა, რომ სწორედ სალომე ზურაბიშვილი და მის ირგვლივ შექმნილი გაერთიანება იყოს ბიძინა ივანიშვილის ახალი შანსი?

– რატომ გგონიათ, რომ სალომე ზურაბიშვილი „ქართულ ოცნებაზე“ უკეთესი ძალა იქნება?! სიმართლე გითხრათ, სულაც არ მგონია, რომ მას ესმის ბიძინა ივანიშვილის.

კიდევ ერთი რამ მინდა გითხრათ, კატასტროფული შეცდომა იყო ოპოზიციის მხრიდან იმის ძახილი, რომ აი, „ოცნებას“ სტატუსი არ უხარია. სრულიად სამარცხვინო იყო ზოგიერთი ოპოზიციური პარტიის მხრიდან იმის განცხადება, რომ ვუსამძიმრებთ „ქართულ ოცნებას“ და ასე შემდეგ. უბრალოდ, პოლიტიკურად არასწორი იყო ეს ყველაფერი. მე ვერ ვხვდები, როგორ ვერ უნდა მიხვდეს ოპოზიცია, რომ დღეს ხელისუფლებას ოპოზიციაზე ნაკლებად კი არა, მეტადაც კი უნდოდა ამ სტატუსის მიღება. რადგან მათთვის ეს ძალიან მისაღები და ხელსაყრელი მომენტია.

– რატომ უნდა სწყენოდათ, როცა წინასაარჩევნოდ საკმაოდ მომგებიანი სიტუაცია შეექმნათ?

– რა თქმა უნდა. ძალიან სასაცილოა ასეთი განცხადებები. ზოგიერთ ოპოზიციონერსაც არ ჰქონდა მაინცდამაინც გახარებული სახე, როდესაც ეს გადაწყვეტილება მოისმინა, მაგრამ არ ღირს ახლა ამაზე საუბარი. უბრალოდ, ეს ლაპარაკობს იმაზე, რამდენად არასწორად აფასებს ოპოზიცია სიტუაციას და რამდენად არასწორად ხედავს იმას, თუ რა აწყობს და რა არ აწყობს „ოცნებას“. სამწუხაროდ, თუ ოპოზიციამ ვერ შეძლო გაერთიანება, „ოცნებას“ იმის ძალიან დიდი შანსი აქვს, რომ მინიმალური გაყალბებით მოიგოს არჩევნები!

„შრომით ბაზარზე ფარმაცევტების დეფიციტი დამატებით რისკს წარმოადგენს“

„შრომით ბაზარზე ფარმაცევტების დეფიციტი დამატებით რისკს წარმოადგენს,“ – ამის შესახებ „გეფას“ 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტში რისკებისა და გამოწვევების ქვეთავშია აღნიშნული.

– ჯგუფის წარმატება დამოკიდებულია მის უნარზე, მიიზიდოს და შეინარჩუნოს პროფესიონალი ფარმაცევტები. თუ ჩვენ ვერ შევძლებთ წარმატებით შევასრულოთ ეს ფუნქცია, ჯგუფის განვითარება, შეთავაზებული სერვისების ხარისხი და რეპუტაცია საფრთხის წინაშე იქნება. სწორედ ამიტომ, ჩვენთვის პრიორიტეტულია ეს საკითხი და ჯგუფი ბევრ რესურსსა და ენერგიას ხარჯავს ამ მიმართულებით, რაც გამოიხატება კონკურენტუნარიან ბონუსებსა და სხვა სარგებელში, რომელსაც ჩვენს თანამშრომლებს ვთავაზობთ.

ამ მხრივ, დამატებით რისკს წარმოადგენს ფარმაცევტების დეფიციტი შრომით ბაზარზე, რის გამოც კადრების გადინების მატების შემთხვევაში, ჯგუფმა, შესაძლოა, გასწიოს დიდი ხარჯები კადრების მოსაძიებლად. ყოველივე ამის შედეგად, კვალიფიკაციური კადრების ნაკლებობამ, შესაძლოა, უარყოფითად იმოქმედოს საოპერაციო საქმიანობასა და ფინანსურ შედეგებზე.

ჯგუფის მიზანია წაახალისოს თანამშრომელთა ჩართულობა ინფორმაციის მუდმივი გაზიარების უზრუნველყოფის გზით, რაც მოიცავს კორპორატიული კულტურის, ჯგუფის სტრატეგიისა და მაჩვენებლების, ამ უკანასკნელთან დაკავშირებული რისკების, ფინანსური და ეკონომიკური ფაქტორების და ჯგუფის პოლიტიკებისა და პროცედურების შესახებ ინფორმაციას, – ვკითხულობთ დოკუმენტში.

ცნობისთვის, ანგარიშგების თანახმად, სს გეფა საქართველოში 1995 წელს დაფუძნდა და თავდაპირველად, საქმიანობას ახორციელებდა სს „ჯიპისის სახელით. 2016 წლის 4 მაისს, სს საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფმა შეიძინა „ჯიპისის“ აქციების 100%-იანი წილი. 2017 წლის 4 იანვარს „ჯიპისიმ გადაირქვა სახელი სს „გეფად“. 2017 წლის 6 იანვარს, „გეფამ“ შეიძინა სს „ეი-ბი-სი ფარმაციის“ (ფარმადეპო) მთლიანი აქციების 67%. 2017 წლის 5 მაისს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდა „გეფასა“ და „ეიბისის“ შერწყმა, რის შედეგადაც გეფა გახდა „ჯიპისისა“ და „ეიბისის“ სამართალმემკვიდრე. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მედიკამენტების, სხვა ფარმაცევტული პროდუქციისა და სხვადასხვა არასამედიცინო პროდუქტების საცალო და საბითუმო გაყიდვები.

პარლამენტმა, პირველი მოსმენით, სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის განულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტი მიიღო

პარლამენტმა, პირველი მოსმენით, სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის სწავლის საფასურის განულებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტი მიიღო.

ინიციატივის ფარგლებში, ცვლილება „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონსა და „საგადასახადო კოდექსში“ შედის.

მთავრობის პროექტის მიხედვით:

საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ფინანსური დავალიანების მქონე/ფინანსური დავალიანების საფუძვლით სტატუსშეჩერებული სტუდენტების მიერ 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით გადასახდელი სწავლის საფასურის გამოსყიდვის მიზნით, სამინისტროს მიერ გადახდილი თანხით სტუდენტის მიერ მიღებული სარგებელი, ასევე ფინანსური დავალიანების მქონე/ფინანსური დავალიანების საფუძვლით სტატუსშეჩერებული სტუდენტის მიერ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ 2023 წლის 1 აგვისტოს მდგომარეობით გადასახდელი სწავლის საფასურის ჩამოწერით, მიღებული სარგებელი.

მთავრობის ინფორმაციით, აღნიშნული საერთო ჯამში დაახლოებით 5.9 მლნ ლარს შეადგენს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში არ მიიმართება.

მთავრობის მონაცემებით, 2023 წლის 1-ელ აგვისტოს მდგომარეობით, გადასახდელი სწავლის საფასურის განულების სურვილი 26-მა კერძო უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ გამოთქვა, ხოლო დავალიანების ჯამურმა ოდენობამ 14 ათასამდე სტუდენტზე დაახლოებით 17.0 მლნ ლარი შეადგინა. 18 სახელმწიფო უნივერსიტეტში დავალიანების ჯამურმა ოდენობამ 13 ათასამდე სტუდენტზე დაახლოებით 12.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც ჯამში, 29.5 მლნ ლარია.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალაკაძე
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

სამართალი

რუსთავში ქორწილის ესკორტის ავტომობილი ქვეითს დაეჯახა

ავტოსაგზაო შემთხვევა რუსთავში, მეგობრობის გამზირზე მოხდა. საინფორმაციო სააგენტო „ინფო რუსთავის“ ინფორმაციით, ქორწილის ესკორტის ავტომობილი ქვეითს შეეჯახა.

დაშავებული სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა ქალაქის ცენტრალურ საავადმყოფოში გადაიყვანა. პაციენტის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურად ფასდება.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება. ავტომობილი ევაკუატორმა საჯარიმო სადგომზე გადაიყვანა. წყვილს ქორწილში ალტერნატიული ავტომობილით მოუწია წასვლა.

ქორწინების იძულების ფაქტზე პროკურატურამ ერთ პირს ბრალდება წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ ქორწინების იძულებისა და ადევნების ფაქტზე ერთ პირს ბრალდება წარუდგინა.

საქართველოს პროკურატურის ცნობით, შინაგან საქმეთა სამინისტროში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული დაზარალებულთან გენდერული შეუწყნარებლობის მოტივით, არასასურველ კომუნიკაციას ამყარებდა და მუქარით ცდილობდა, ქორწინებაზე მის იძულებას. ბრალდებულის ქმედების შედეგად, დაზარალებული ფსიქიკურ ტანჯვას განიცდიდა.

ინფორმაციის თანახმად, სამართალდამცველებმა ბრალდებული მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 13 ნოემბერს დააკავეს.

მას ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (ქორწინების იძულება) და 151-ე პრიმა მუხლის პირველი ნაწილით (ადევნება) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ორ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურა ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება.

გურამ ელიზბარაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა

ძაღლის გასეირნებისას წარმოქმნილი კონფლიქტის შედეგად ერთი პირის დაჭრის ფაქტზე დაკავებულ გურამ ელიზბარაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა. აღნიშნულის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ ელიზბარაშვილის ადვოკატმა განუცხადა.

როგორც უფლებადამცველი აცხადებს, მისი დაცვის ქვეშ მყოფი ამ დრომდე კლინიკაში რჩება. დაკავებულს ბრალი ჯერ წარდგენილი არ აქვს. ადვოკატი ასევე არ ფლობს ინფორმაციას, ელიზბარაშვილის დაჭრასთან დაკავშირებით, დააკავეს თუ არა კონფლიქტში მონაწილე პირი.

— ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, თვითონ ნაკლებად კონტაქტურია, ოპერაციიდან ჯერ ბოლომდე გამოსული არაა, ჭრილობაც საკმაოდ დიდია. ჭრილობა ფეხის არეში აქვს.

ის პირი, რამდენადაც ვიცი, არაა დაკავებული... სანამ ბრალი არ წარგვედგინება და არ გავეცნობით, ვინ — ვის — რას ედავება, იქამდე პოზიცია მე თვითონ არ ვიცი და თქვენ რა გითხრათ, — აცხადებს ადვოკატი.

ცნობისთვის, თბილისში, მომხდარ დაპირისპირებაზე, რაც ყაზახეთის მოქალაქესა და გურამ ელიზბარაშვილს შორის ძაღლის გასეირნებას მოჰყვა, სამართალდამცავებმა გურამ ელიზბარაშვილი დააკავეს. დაჭრილია გურამ ელიზბარაშვილიც, მას წუხელ, გვიან ღამით, „ინგოროყვას“ კლინიკაში ოპერაცია ჩაუტარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე და 236-ე მუხლითაა დაწყებული, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებასა და იარაღის უკანონო ტარებას გულისხმობს.

„ქართულ ოცნებას“ მერაბიშვილის ხელდასმული ხაბეიშვილი და ვაშაძე დაამარცხებენ?!

დავით ჭიჭინაძე: „რომელი რეფორმის გამტარებლები ესენი არიან, ქვეყნიდან ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბის და მათ ვერაფერს სთვაზობენ, გარდა იაფი ბილეთისა“

ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი, „ტრიბუნას“ თავმჯდომარე დავით ჭიჭინაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

— ბატონო დავით, ირაკლი კობახიძე ამბობს, რომ ნაციონალური მოძრაობის პარტიის რეიტინგის დაწევა ხელოვნურად ხდება კეზერაშვილის პარტიასთან ასოცირებით. მისი თქმით, რეალურად კი ნაციონალებთან დაკავშირებული პატარა პარტიების 5% ბარიერის ზემოთ ამოყვანა არის მიზანი. როგორ ფიქრობთ, შეიძლება „ქართულ ოცნებას“ რეიტინგის დავარდნის ეშინია?

— არაფერია გამორიცხული, მაგრამ ძალიან არიან მიმატება-გამოკლებით დაკავებულები. კეზერაშვილიც, მერაბიშვილიც ამათი შექმნილია. დღეს, მიხეილ სააკაშვილი ქართულ პოლიტიკაში ფაქტორს რომ წარმოადგენს, ესეც „ქართული ოცნების“ დამსახურებაა. „ქართულ ოცნებას“ თავის დროზე გაცემული დაპირებები რეალურად რომ შეესრულებინა, სააკაშვილი ვერანაირი ფაქტორი ვერ იქნებოდა. ვერც ნაციონალური მოძრაობა იქნებოდა მთავარი ოპოზიციური ძალა, მაგრამ ეს აწყობდათ და ამიტომ მოიქცნენ ასე.

ქვეყანაში ეს პარალმენტი და ამ პარალმენტის წევრები ვერაფერს შეცვლიან. ამ მოწვევის პარლამენტს ლეგიტიმაცია არ აქვს. ოპოზიცია, რომელიც პარლამენტში შევიდა, მათ კისერზეა ამ პარლამენტის ლეგიტიმაციის საკითხი.

დღეს „ქართული ოცნება“, მმართველი პარტია რითი არის დაკავებული — სტატუსს მოგვცემენ თუ არ მოგვცემენ. ვაჭრობით არის დაკავებული, ნაცვლად იმისა, რომ ქვეყანაში რეალური რეფორმები გაატაროს და შემდეგ ვერავინ ეტყვის უარს ვერც სტატუსსზე და ვერც ვერაფერზე. რომელი რეფორმის გამტარებლები ესენი არიან, ქვეყნიდან ხალხი თავქუდმოგლეჯილი გარბის და მათ ვერაფერს სთვაზობენ, გარდა იაფი ბილეთისა.

ისეთი გლობალური პროცესები მიდის სამყაროში, ისე სწრაფად იცვლება ყველაფერი, აქვთ კი ადეკვატური პოლიტიკა შემუშავებული?! როგორია ამ ახალ გეოპოლიტიკურ რეალობაში სახელმწიფოს პოლიტიკა?! ჩვენ სად ვართ მთელ ამ პროცესში?! ან აქვთ სამეზობლო, რეგიონული პოლიტიკა შემუშევებული, კობახიძე პროცენტების დათვლით რომ არის დაკავებული?! ამ კითხვებზე ამომრჩეველს უნდა უთხრან პასუხები.

ფაქტი ერთია, 2024 წლის არჩევნების მერე ასე, როგორც აქამდე ვცხოვრობდით, ვერ ვიცხოვრებთ. ახალი პოლიტიკაა საჭირო. ვაჭრობით ვერაფერს გავხდებით. ასე დიდი პოლიტიკა არ კეთდება. არაფერი იცვლება ქართულ პოლიტიკურ სცენაზე. დასმული თოჯინები ვერაფერს იზამენ. დასმულ თოჯინებს დიდი პოლიტიკის კეთება არ შეუძლიათ. კობახიძემ უთხრას ხალხს, რა არის „ქართული ოცნების“ პოლიტიკა.

— იდეოლოგია არ აქვთ?

— რომელი იდეოლოგიაა იაფი ბილეთის შეთავაზება საკუთარი მოქალაქეებისთვის და ემიგრაციაში გაგზავნა?! ან ასეთი დემოგრაფიული მაჩვენებლები ამ ქვეყანას კარგს არაფერს უქადის. დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე ვდგავართ.

ან რომელ ევროპაზეა ლაპარაკი ასეთი ძვირი ფულით. ევროპა ცხოვრების მაღალ დონესთან ასოცირდება — კარგ პენსიასთან, მაღალ ხელფასთან, უზრუნველყოფილ სიბერასთან. იაფი ფულით კეთდება ეს ყველაფერი. „ქართული ოცნება“ რომელი ერთის შეთავაზებას აპირებს საქართველოს მოქალაქეებისთვის.

— ბატონო დავით, შეიძლება მომავალ პარლამენტში ნაციონალური მოძარობა ვეღარ იყოს მთავარი ოპოზიციური პარტია და ეს არ მოსწონდეს „ქართულ ოცნებას“?

— დარწმუნებული ვარ, მომავალ პარლამენტში ბევრი რამე შეიცვლება. ხალხი არც ამათ მიცემს ხმას და არც ნაციონალებს. სულ სხვა პოლიტიკური რეალობა იქნება. ამათ უკვე ამოწურეს ყველა შესაძლებლობა. ან კეზერაშვილს მე „გავუპრავე“ ბიზნესი, ან ქოლ-ცენტრები ხომ იციან ვისია. ხომ სასაცილოა, ვანო მერაბიშვილის ხელდასმული ხაბეიშვილი და ვაშაძე რომ დაამარცხებენ „ქართულ ოცნებას“. ვის სჯერა ამ ზღაპრების. ხალხს უყვებიან ამ ზღაპარს, მაგრამ ხალხი დაიჯერებს ამას?!

სერიოზული კრიზისის წინაშე შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყანა. საჭიროა გონივრული მოქმედება. „ქართული ოცნება“ ქარის წისქვილებს ებრძვის. რეალურად კი მოქმედებაა საჭირო, რეაფორმებია საჭირო.

— 5%-იან ბარიერს რა შემთხვევაში დაწევენ?

— რა მნიშვნელობა აქვს ბარიერს, თუ სუფთა არჩევნები არ ჩაატარე. 2018 წლის მერე, „ოცნება“ მიხვდა, რომ თუ სუფთად და სამართლიანად ჩაატარებს არჩევნებს, მაშინ წააგებს. ამიტომ 1 პროცენტიც რომ იყოს ბარიერი, თუ გაგიყალბეს, რა მნიშვნელობა აქვს?! ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული. ხალხი უნდა მიხვდეს, რომ ძალა მათ ხელშია. „ქართულმა ოცნებამ“ ყველანაირი პრესპექტივა ამოწურა. ეს ხელისუფლება ვერაფერს შეცვლის. ახალი, ჯანმრთელი პოლიტიკური ძალა უნდა მოვიდეს და დაიწყოს რადიკალური ცვლილებები — რეფორმები ყველა სფეროში.

„ეროვნული ბანკი რამდენიმე კომერციული ბანკის მომსახურების სააგენტოა“

ნიკა შენგელია: „რთული და გაჭირვებული ზამთარი და გაზაფხული გველის. ყურძენი მაღაზიაში 4-5 ლარი არცერთ წელს არ ღირდა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ეკონომიკის ექსპერტი ნიკა შენგელია პასუხობს.

— ბატონო ნიკა, ვისმენთ შეფასებებს, რომ კანდიდატის სტატუსის მონიჭება, ეკონომიკური თვალსაზრისითაც ბევრ რამეს შეცვლისო. რა მოლოდინები გაქვთ და რა ცვლილებებზე შეიძლება იყოს საუბარი? ევროკავშირს თავის მოთხოვნები აქვს, რამდენად გაიზიარებს ამას ჩვენი ხელისუფლება?

— კანდიდატის სტატუსი დადებითი მოვლენაა იმ კუთხით, რომ ეს ევროპელ ინვესტორებს მიანიშნებს, რომ საქართველოში შეიძლება რაღაც ინვესტიციებზე საუბარი. აქ მთავარია, როგორ იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკური გუნდი, რამდენად გააჩერებს იმ მიმდინარეობას, რასაც ჰქვია კადრების ნეპოტიზმი› დანიშვნა, როგორ საკრედიტო პოლიტიკას გააატარებს და სხვა ბევრი საკითხებია. რომც არ ყოფილიყო კანდიდატის სტატუსი, ეს ყველაფერი მაინც გასაკეთებელი იყო. არა მგონია, რომ ჩვენი ხელისუფალი ახლა ხელებს დაიკაპიწებს და ყველა მითითებას გაითვალისწინებს, რაზეც ევროკავშირმა მიგვითითა. ამიტომ ვერ ვხედავ იმ პერსპექტივას, რომ სტატუსის მიღების მიუხედავად, ჩვენ ევროკავშირის წევრები გავხდებით.

— ანუ თქვენ არ გაქვთ იმის მოლოდინი, რომ საქართველოს ევროკავშირში მიიღებენ?

— ძალიან შორეული პერსპექტივაა, ძალიან. შესაძლოა, 2028 წლისთვის. ეს კანდიდატის სტატუსი, რაც მოგვანიჭეს, მოდით ვთქვათ პირდაპირ, ეს არის იმ გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, რომელიც შექმნილია ახლა. სტატუსი რომ არ მოეცათ, კარგად იცოდნენ, რომ ჩვენს ხელისუფალს ცალი ფეხი, ფაქტობრივად, რუსეთისკენ აქვს გადადგმული. ჯერჯერობით, ეს ფარატინა ფურცელია და ბევრს არაფერს ნიშნავს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ოქროს მდინარეები გადმოედინება ხვალიდან საქართველოში, ეს ასე ნამდვილად არ იქნება.

— გარკვეული პირობები აქვს წაყენებული საქართველოს ხელისუფლებას, როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური. საუბარია ეროვნული ბანკის რეორგანიზაციაზე და დამოუკიდებელ ორგანოდ ჩამოყალიბებაზე. რამდენად გაქვს იმის მოლოდინი, რომ „ოცნება“ დათმობს ეროვნულ ბანკს?

— ადრე ეროვნული ბანკი იყო დამოუკიდებელი ორგანო. თუმცა, რაც კადრების გადაადგილებები მოხდა, ასე აღარ არის. ჯერ კიდევ ასოცირების ხელშეკრულება რომ დაიდო, მაშინ იყო საუბარი, რომ ეროვნული ბანკი უნდა მორგებულიყო და შესაბამისობაში მოსულიყო ევროკავშირის კანონმდებლობასთან და აღორძინებულიყო. აღორძინდა? არა! ბანკების მონოპოლიურმა სისტემამ არ დაუშვა ფასიანი ქაღალდები ბაზარზე. როგორც ეს არ გაკეთდა, ისე არ გაკეთდება სხვებიც.

— საკმაოდ მაღალი პროცენტია კრედიტებზე და ამის დაწევაზეც აუცილებლად იქნება საუბარიო. გაქვთ მოლოდინი, რომ ასე მოხდება?

— როგორ იქნება კრედიტების დაწევაზე საუბარი, როდესაც საპროცენტო განაკვეთი 10%-ია. არა და სულ თავისუფლად შეიძლება საპროცენტო განაკვეთი 5% იყოს. ინფლაცია 0,8%-ია წლიური. არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, საქართველოში ინფლაცია 7% იქნება თუ 0,8%, საპროცენტო განაკვეთი მაინც მაღალია. ეროვნული ბანკი თავის ფულადი საკრედიტო პოლიტიკით, არასდროს ყოფილა ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ფერხულში ჩართული. ის არის რამდენიმე კომერციული ბანკის მომსახუ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ოკუპანტი რუსეთი აფხაზეთის ოკუპირებულ რეგიონს ელექტროენერგიის გადასახადს აღარ უფარავს

პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები ობიექტების რუსეთისთვის მიყიდვის წინააღმდეგ გაერთიანდნენ

მარიამ მჭედლიშვილი



წინათ ოკუპირებულ აფხაზეთს ენგურჰესიდან მიწოდებული ელექტროენერგიის საფასურს თბილისი უფარავდა. ბოლო ხანს აფხაზეთი დენს რუსეთიდან იღებდა და დანახარჯს რუსეთი იხდიდა. ახლა გაირკვა, რომ „მარჩენალი" რუსეთი ამას აღარ გააკეთებს. ესე იგი, ე.წ. საინვესტიციო პროგრამების მკვეთრად შემცირებასთან ერთად ოკუპირებული რეგიონის მაცხოვრებლებს ელექტროენერგიის გადასახადს აღარავინ დაუფარავს.

შექმნილი საგანგაშო მდგომარეობით შეწუხებულმა აფხაზმა დეპუტატებმა მთავრობის წევრებთან ერთად ამ თემაზე დახურულ კარს მიღმა იმსჯელეს. აფხაზეთის პარლამენტის საბიუჯეტო კომიტეტის დახურულ სხდომაზე ეძებდნენ სიტუციიდან გამოსვლის გზებს.

საკითხზე „ეხო კავკაზას" ესაუბრა დეპუტატი ბესლან ხალვაში.

„არის საფრთხე, რომ ხალხი დენის გარეშე დარჩეს"

ბესლან ხალვაში:

– მწვავედ დაგვიდგა წლის ბოლომდე შემომავალი დენის საფასურის გადახდის საკითხი. გამოვთქვი წინადადება, რომ უნდა მივმართოთ მოსახლეობას, რათა მან გადაიხადოს ელექტოენერგიის გადასახადი. ხალხს ამისკენ უნდა მოუწოდონ ეკონომიკის სამინისტრომ და „ჩერნომორენერგომ".

– საუბარია 900 მილიონი რუბლის გადახდაზე. შესაძლებელია, მოსახლეობაში ამხელა თანხის მოგროვება?

– მოსახლეობაში ამ თანხის ნაწილი მოგროვდება. დანარჩენი ფული მოსაძიებელია. ჩნდება საფრთხე, რომ ხალხი შეიძლება დენის გარეშე დარჩეს.

– მოსახლეობის გარდა, სად შეიძლება ამ ფულის მოძიება?

– არ ვიცი. გადასახედია ბიუჯეტის ხარჯვითი მუხლები.

– რა გადაწყვეტილებამდე მივიდა კომიტეტი?

– კომიტეტზე მხარი დავუჭირეთ იმას, რომ ვიცე-პრემიერი (ეკონომიკის მინისტრი) ქრისტინა ოზგანი მიმართავს მოსახლეობას, ეკონიმიკისა და ფინანსთა სამინისტროებს კი მიეცათ რეკომენდაცია, მოამზადონ ცვლილებები 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში.

აშკრაა, რომ ოკუპანტი რუსეთი მკვეთრად ამცირებს ეკონომიკურ სუბსიდიებს აფხაზეთში. ოკუპირებული აფხაზეთის მიმართ რუსეთის დამოკიდებულება ასეთია: ოკუპანტს დაგეგმილი აქვს ოჩამჩირეში საზღვაო სამხედრო ბაზის შექმნა, ასევე მთელი რიგი ობიექტების (მიწის ნაკვეთებიანად) მისაკუთრება. ზოიგიერთ ნაგებობაზე პრეტენზიას რუსეთის სახელმწიფო აცხადებს, ზოგოერთის შესყიდვა კი რუსეთის იურიდიულსა და კერძო პირებს უნდათ.



რა მოწოდებით გამოდიან ოპოზიციონერი პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები?

აფხაზები არანაირი რუსული სამხედრო ბაზის განთავსებას არ ეწინააღმდეგებიან. მათი პროტესტი მხოლოდ უძრავი ქონების უცხო ქვეყნის (რუსეთის) გასხვისებას ეხება. საზოგადოების ამ პოზიციის გამო კრემლმა დღემდე ვერ მოახერხა ბიჭვინთის გახმაურებული აგარაკის საბოლოო გაფორმება, „აპარატამენტების შესახებ" კანონპროექტი კი გაჩერებულია.

„აპარტამენტების შესახებ" კანონის წინააღმდეგ აფხაზეთის ოპოზიცია და საზოგადოებრიობა გაერთიანდა. მათ მოწოდებით მიმართეს ხელისუფლების მომხრე პარტებს, ასევე პარლამენტსა და საზოგადოებრივ პალატას, შეიქმნას ერთობლივი საბჭო, რომელიც გააკონტროლებს ხელისუფლების მოქმედებებს ობიექტების გასხვისების მიმართულებით. ეს ხდება იმ ფონზე, როცა დე ფაქტო პრეზიდენტმა ბჟანიამ დააანონსა ინვესტორებისთვის (რუსებისთვის) საუკეთესო პირობები.

„შიდა რესურსები უნდა გამოვიყენოთ"

საკოორდინაციო საბჭოს გეგმებზე საუბრობენ ცნობილი პირები. მათ მიერ გამოყენებული ტერმინოლოგია ეწინააღმდეგება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს.

საზოგადო მოღვაწე ალხას ჯინჯალი:

– ყველას ვთავაზობთ საზოგადოებრივი კომისიის შექმნას, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ქონებრივი ურთიერთობების სფეროში წესრიგის დამყარებას. არსებობს უამრავი ობიექტი, რომლის საქმიანობა გასაშუქებელია. ყველაზე კარგი იქნება შევქმნათ კომისია, სადაც მთელი პოლიტიკური სპექტრი შევა. ჩვენი შემოთავაზებაა, შედგეს იმ ობიექტების ნუსხა, რომლებიც საჭიროებს რევიზიასა და კონტროლს. ნუსხაში უნდა შევიდეს ობიექტები, რომლებიც სახელმწიფო საკუთრებაში დარჩა და ამასთან, იჯარითაა გაცემული. ამ ობიექტებს გაცილებით ბევრი შემოსავლები უნდა შემოჰქონდეთ ბიუჯეტში, ვიდრე შემოაქვთ.

„აფხაზეთის სახალხო მოძრაობის" წარმომადგენელი თემურ გულია:

– საუბარია წინააღმდეგობაზე „აპარტამენტების შესახებ" კანონის მიღებისა და უცხოელი მოქალაქეების სუვერენული აფხაზეთის ტერიტორიაზე მასობრივად გადმოსახლების მიმართ.

საზოგადო მოღვაწე ერხან კუტარბა:

– იმის მაგივრად, რომ რომელიმე მსხვილი ობიექტი მიყიდონ ადამიანს, გამოიყენონ უცხოური ინვესტიციები, რატომ არ შეიძლება ამის გაკეთება სახელმწიფოს სახელით? რატომ არ შეუძლია სახელმწიფოს, აიღოს კრედიტი და ყველაფერი აღადგინოს? ეს ესება ენერგეტიკას, ტრანსპორტს, ტურიზმს, სოფლის მეურნეობას. 30 წლის განმავლობაში არავისთვის გვითხოვია (ინვესტიციები). ახლა რატომ გახდა საჭირო თხოვნა? გარწმუნებთ, ჩვენ იმაზე უკეთ ვცხოვრობთ, ვიდრე ჩრდილოეთი და სამხრეთი კავკასია. გვაქვს, რესურსები, პოტენციალი. უნდა ავიყვანოთ თავი ხელში და გამოვიყენოთ შიდა რესურსები.

„ეროვნული ბანკი რამდენიმე კომერციული ბანკის მომსახურების სააგენტოა"

დასაწყისი მე-3 გვერდზე

რების სააგენტო. ვხედავთ კიდეც, რომ ასეა. ნამდვილად არ მაქვს იმის მოლოდინი, რომ ეროვნული ბანკი კრედიტებს გააიაფებს.

– რას იტყვით შიდა ეკონომიკურ პრობლემებზე? ზამთარი მოდის, რა მოლოდინი გაქვთ? ვისმენთ შეფასებებს, რომ ინფლაციამ სერიოზულად დაიწია, მაგრამ ამ ფონზე მაინც რატომ ძვირდება ყველაფერი?

– რეალური ინფლაცია არის მაღალი. მას როგორ დათვლი, ესაა მნიშვნელოვანი. ინფლაცია შემცირებულია დათვლით და მეთოდოლოგიით, თორემ დამისახელეთ წელი, როდესაც ყურძენი საცალო ქსელში ღირდა ოთხი და ხუთი ლარი?! არ ყოფილა ეს საქართველოს ისტორიაში! კიდევ სხვა ბევრი პროდუქტი. გარკვეული სახის პროდუქტზე დაიწია ფასმა, იქნება ეს ბურღულეული, ზეთი თუ სხვა ცხიმები. თუმცა, კარაქზე, ხილზე და ბევრ პროდუქტზე ფასები ისტორიულად მაღალ ნიშნულზეა. როცა ასეთი სიტუაციაა, მოსახლეობას რაში აინტერესებს, ინფლაცია რამდენ ნიშნულზეა. ის თავის ჯიბეზე ვერ გრძნობს ამ ყველაფერს. პირიქით, ღარიბდება. მოსახლეობას უნდა იაფფასიანი ბაზარი და ფასების სტაბილურობა. ასრულებს ეროვნული ბანკი ამ მხრივ თავის ვალდებულებას?! ხომ გაიძახის, ჩვენი მთავარი ვალდებულებაა, ფასების რეგულაციაო. არ ასრულებს! აბსოლუტურად ყველაფერი ძვირდება. ეკონომიკურ გუნდში და ეროვნულ ბანკში არ არიან კადრები მოწოდების სიმაღლეზე, რომ როგორც ეროვნული ბანკი, ისე მათი უწყებები ჩადგეს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ფერხულში. უკვე წლებია, რაც ასე არ ხდება.

– ელოდებით ფასების კიდევ ზრდას? საწვავზე საკმაოდ მაღალი ფასია.

– ფასები მაღალი დარჩება. მალე ისე იქნება, რომ მყიდველი აღარ დარჩება ელემენტარულად. საწვავის ფასი თუ კიდევ გაიზრდება, მაშინ ფასებიც დაიწყებს მატებას დაახლოებით 10-15%-ით.

– ანუ უკეთეს სიტუაციას არ ელოდებით?

– როგორ, რანაირად? რადგან კანდიდატის სტატუსს გვაძლევენ, რა, უცებ ყველაფერი გამოსწორდება და დარეგულირდება?! ასე არ მოხდება. ჩვენთან ფასები იმაზე გაცილებით მაღალია, ვიდრე ეს არის ევროპის სხვადასხვა ქალაქებში. როგორ შეიძლება უკეთესს ველოდოთ, ეს არ იქნება.

– ლარი შეინარჩუნებს სტაბილურობას თუ შესაძლოა გაუფასურდეს?

– ლარს რაც შეეხება, ვხედავთ, რომ ლარი იყო მყარი, როდესაც შემოდიოდა თვეში 500 მილიონზე მეტი. ეს ხდებოდა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე. ახლა უკვე დაიწყო შემცირება ამ გადმორიცხულმა თანხებმა და ლარსაც დაეტყო კიდეც. სექტემბერ-ოქტომბერში ეროვნულმა ბანკმა იმისთვის, რომ ლარის სტაბილურობა შეენარჩუნებინა, რეზერვებიდან 319 მილიონი გაყიდა. როგორც კი დარეგულირებისკენ წავა რუსეთ-უკრაინის კონფლიქტი, ეს ხალხიც ისევ ისე წავა რუსეთში, როგორც ჩამოვიდნენ და ლარი ისევ გაუფასურდება. რა გაამყარებს ლარს? ეკონომიკური ბუმი გვაქვს, წარმოება გაიზარდა თუ რა?! არაფერიც არ მომხდარა. როგორც ადრე, ახლაც რთული და გაჭირვებული ზამთარი და გაზაფხული გველის. უკეთესობას არ ველოდები. სასწაული ნამდვილად არ მოხდება.

ეკონომიკა

რამდენი იჭნება პარლამენტის ყოფილი დეპუტატების პენსიის ზედა ზღვარი, რომელიც მომავალი წლიდან დაწესდება

მომავალი წლიდან, პარლამენტის ყოფილი დეპუტატების პენსიის ზედა ზღვარი 560-დან 1.000 ლარამდე გაიზრდება.

აღნიშნულ საკითხზე დებატები გაიმართა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, სადაც ოპოზიციონერმა, ნიკა მაჭუტაძემ და დავით ზილფიმიანმა ზედა ზღვრის, ე.წ. ჩამკეტის მოხსნის საკითხი დააყენეს. აღნიშნულის მომხრენი არიან საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დეპუტატები „ხალხის ძალიდანაც". პარტიის წევრმა დიმიტრი ხუნდაძემ განაცხადა, რომ პარლამენტის ყოფილი დეპუტატების კომპენსაცია ანაზღაურების 1/3 უნდა იყოს ე.წ. ჩამკეტის გარეშე.

როგორც პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას განაცხადა, პარლამენტის ყოფილი დეპუტატების პენსიის ზედა ზღვრის ცვლილება 2024 წლის ბიუჯეტის პროექტითაა გათვალისწინებული და ეს არა მხოლოდ ყოფილ დეპუტატებს, არამედ სხვა სეგმენტის პირებსაც შეეხება.



მისი განმარტებით, „ე.წ. ჩამკეტის სრულად მოხსნას, ბიუჯეტიდან ყოველწლიურად დამატებით დაახლოებით 10 მლნ ლარი დასჭირდება".

– ყოფილი წევრების პენსიებში არის ცვლილება. დღეს არსებული სისტემით ანაზღაურების 1/3 არის პენსია, თუმცა, ჭერი არის 560 ლარის ოდენობით. ეს ზედა ზღვარი იცვლება, ეს არის იგივე მუხლი, რომელიც ეხება სამართალდამცავი ორგანოების ყოფილ თანამშრომლებს და ა.შ. – ბევრ სეგმენტს ფარავს. ეს ჭერი 1.000 ლარამდე იზრდება. ასე რომ, პარლამენტის ყოფილ წევრებსაც შეეხებათ ეს ცვლილება. 1-ელი იანვრიდან პენსია 560 ლარის ნაცვლად 1.000 ლარი იქნება. დღეს პარლამენტის ყოფილი წევრების პენსია 560 ლარი იმიტომაა, რომ დადგენილია ჭერი 560 ლარი. წესით უნდა იყოს ხელფასის 1/3, თუმცა, ვინაიდან ჭერი 560-ია, ამას ვერ სცდება. ჭერი ბიუჯეტით 1.000 ლარამდე იზრდება. შესაბამისად, პენსია იქნება 1.000 ლარი, – განაცხადა პაპუაშვილმა.

ომში მყოფი ისრაელიდან ფულადი გზავნილები გაიზარდა, რუსეთიდან კი შემცირდა

საქართველოს ეროვნული ბანკის მონაცემებით, 2023 წლის ოქტომბერში საქართველოში შემოსული ფულადი გზავნილების ნაკადების მოცულობამ 283 მლნ დოლარი (761.5 მლნ ლარი) შეადგინა, რაც 43.6%-ით (219 მლნ დოლარით) ნაკლებია 2022 წლის ოქტომბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე.

სებ-ის მონაცემების თანახმად, ასეთი კლება ძირითადად რუსეთის ფედერაციიდან გზავნილების მკვეთრმა ვარდნამ განაპირობა. რუსეთიდან ოქტომბერში 61,7 მლნ დოლარი გადმოირიცხა, რაც 79,36%-ით ნაკლებია გასული წლის ოქტომბრის ანალოგიურ მაჩვენებელზე (299,283 მლნ დოლარი). თუმცა, მიუხედავად ასეთი მკვეთრი კლებისა, რუსეთი ფულადი გზავნილების სიდიდით კვლავ პირველ ადგილზე რჩება.

აღსანიშნავია, რომ ფულადი გზავნილები მცირედით, მაგრამ მაინც გაიზარდა ომში მყოფი ისრაელიდან და ოქტომბერში 17,159 მლნ დოლარი შეადგინა.

„ბიზნესპრესნიუსი" გთავაზობთ ტოპ-10 ქვეყანას, საიდანაც ყველაზე დიდი მოცულობით ფულადი გზავნილები განხორციელდა:

რუსეთი – 61, 759 მლნ დოლარი (კლება 79,36%); იტალია – 42,566 მლნ დოლარი (ზრდა – 19,17%); აშშ – 41,721 მლნ დოლარი (ზრდა – 39,17%); საბერძნეთი – 21,221 მლნ დოლარი (ზრდა – 10,96%); გერმანია – 20,241 მლნ დოლარი (ზრდა – 31,09%); ისრაელი – 17,159 მლნ დოლარი (ზრდა – 4,42%); ყაზახეთი – 16,440 მლნ დოლარი (ზრდა – 97,62%); თურქეთი – 8,418 მლნ დოლარი (კლება – 5,46%); ესპანეთი – 4,816 მლნ დოლარი (ზრდა – 11,7%); აზერბაიჯანი – 4, 413 მლნ დოლარი (ზრდა – 4,4%)

2023 წლის ოქტომბერში საქართველოდან საზღვარგარეთ 31.5 მლნ აშშ დოლარი (84.8 მლნ ლარი) გადაიგზავნა, რაც 2022 წლის ოქტომბრის (31.4 მლნ აშშ დოლარი) ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.2%-ით მეტია.

„ისე ახლოს არიან მომხდურები, მათ საზიზღარ სუნსაც ვგრძნობ“

ვაგრძელებს ინტერვიუს ომის ვეტერან, პოლკოვნიკ დოდო გუგეშაშვილთან, რეომელიც ჟურნალ „გუშბათში“ გამოქვეყნდა. გუგეშაშვილი ქალაქ ოჩამჩირეში გამართულ ბრძოლებზე და ტყვარჩელის ასაღებად დაგეგმილ ოპერაციაზე გვიამბობს.

– 1992 წლის 25 ოქტომბერს რუსეთის საინფორმაციო საშუალებებით ინფორმაცია გადაიცა იმის შესახებ, რომ ოჩამჩირე აფხაზებმა და მთიელ ხალხთა კონფედერატებმა აიღეს. როგორც ჩანს, მაშინ მათ იჩქარეს, რადგან რეალურად ოჩამჩირე თითქმის ერთი წლის მერე დაეცა. იქნებ გაიხსენოთ კონკრეტულად 25 ოქტომბრის მოვლენები?

– 1992 წლის 24 ოქტომბერს, ჯაბა იოსელიანის დავალებით, გია ვაშაკიძე და მესამე ბრიგადის მეოთხე ბატალიონის მეთაური ბუთხუზ თოხაძე (რომელიც ოჩამჩირის მხედრიონის უფროსი იყო ბატალიონის მეთაურობამდე) ოჩამჩირიდან სოხუმში ჩადიან. სოხუმიდან უკან ტამიშის გზით „ცარიელები“ ბრუნდებიან (მეორე დღეს ისევ სოხუმში უნდა ჩავიდნენ და ოჩამჩირეში უკვე „ხელსავსენი“ უნდა დაბრუნდნენ). მოკლედ ანუარხოს მთიდან დაარტყეს სეპარატისტებმა სოხუმიდან მომავალთ. გიგა გელაშვილი თავისი ბორჯომელებით წამოეშველა, ტამიში ერთობლივი ბრძოლით შუამდე გაიარეს და ღამითვე ფერმებში დარჩნენ, სადაც ბორჯომელებს ე.წ. შტაბი ჰქონდათ. 24 ოქტომბერი პატარა მანევრი იყო, მთავარი „ნობათი“ სოხუმიდან 25 ოქტომბერს უნდა წამოელოთ.

25 ოქტომბერს გია ვაშაკიძემ ოჩამჩირეში „ბრეზენტით შეფუთული“ ზილ 131 ჩამოიყვანა, რომელზედაც „ბმ 21“, რეაქტიული დანადგარები ეყენა (ჩვენებურად გრადი). გია ვაშაკიძემ გრადი შედარებით უსაფრთხო ადგილას დააყენა და მას დაცვა მიუჩინა. იმავე ღამით, გვიან ოჩამჩირეში ელგუჯა წიკლაურის მეთაურობით „ქართველ შევარდენთა ლეგიონი“ შემოდის და სანაპიროზე 16-სართულიან შენობაში გაჩერდება. ბიჭების ნაწილს წყალგაუმტარი, ფერადი ლაბადები აცვიათ, ღამის სიბნელეში ციცინათელებივით მოციმციმე. თექვსმეტსართულიან შენობასთან პოსტებს აყენებენ „ლეგიონერები“, უმეტესობა კი მოსასვენებლად შენობის მეორე და მესამე სართულებს იკავებს. უკვე ღამის ორი საათია.

გარეთ საშინელი ამინდია. თავსხმა წვიმა და გრიგალია. ჯერჯერობით არც ერთ ჩვენს პოზიციაზე მასობრივი შემოტევა არ ხორციელდება. მხოლოდ სნაიპერები მუშაობენ სეპარატისტების მხრიდან და არცთუ იშვიათად მსხვილკალიბრიანი იარაღის ჯერი ისმის. ყუმბარმტყორცნიდან, ან ნაღმმტყორცნიდან ნასროლი ჭურვები გულს გლეჯენ ქართულ მიწას.

ბესლახუბას პოზიციაზე მეოთხე ბატალიონის ბიჭები დგანან ბუთხუზ თოხაძის მეთაურობით და მხედრიონის რაზმი ვაჩეს მეთაურობით. ღამის სამი საათისთვის ბუთხუზა დასასვენებლად წვება ხუთსართულიანი შენობის ოთახში, სადაც მასავით პოსტიდან ახალდაბრუნებული იური ვახანია, გივი გაბისონია და ნუგზარ ხარებავა ისვენებენ (ნუგზარიც ოჩამჩირის მხედრიონის წევრია, ახლა უკვე ბატალიონში გაწევრიანებული). სიბნელეში ტყვიამფრქვევის ლენტა გაებლანდა ფეხებში ბუთხუზას, შუქს ანთებს და ამ დროს იგრიალებს გარეთ გამაყრუებლად. გასკდა რაღაც გრიალ-გუგუნით. ზურგიდან თეძომდე გაფატრა ბუთხუზა ჩამსხვრეულმა და ოთახში შეგდებულმა ფანჯრის მინამ. არც ისე მძიმე ჭრილობაა, შეიძლება ბრძოლა!

შენობიდან გარეთ გავარდნენ ბატალიონის ბიჭები. პოზიციებს იკავებენ თბილისელ მხედრიონელებთან ერთად, რომლებიც იქვე არიან პოსტებზე. ტყვარჩელის მხრიდან იცავს სანგრებში მყოფთ აბესალომ კოპალიანი თავისი ხალხით პოზიციებზე მყოფთ. ხუთასართულიან შენობას სახურავზე რაღაც დაეცა, რაღაც გაურკვეველმა საგანმა სახურავი ჩაანგრია. უსახურავო ვაგონი „გონდილა“ დააგორეს სეპარატისტებმა ამონალით სავსე (ამონალზე ზემოდან უამრავი რკინა აყრია). ქვემოდან ზემოთ წავიდა ცეცხლის ტალღა, კენწეროებში გაწყვიტა ალვის ხეები. როგორღაც პერპენდიკულარულად მიდის აფეთქება. მთელს პერიმეტრზე შემოიჭრნენ სეპარატისტები და კონფედერატები. გააფრთებული ბრძოლები მიდის. ილორის მარცხენა მხარეს (მდინარიდან) 605-ე სიმაღლეა. იქ ზური მალეშავა და ბიჭები არიან, მარჯვენა მხარეს სოფელ ნოუდლენის ტერიტორიაა (აფხაზურად დოდლანი). სწორედ იქიდან არიან შემოჭრილები.

სამი ტანკი ჰყავს ბუთხუზას, ორი არ დადის, მხოლოდ ზარბაზანი და ტყვიამფრქვევი მუშაობს. მიწაში ღრმად არის ორთავე ტანკი ღრმად ჩამარხული, მესამე ტანკი თამაზ ალანიამ შეაკეთებინა, როგორღაც წელმოწყვეტილივით დადის კარგად გამართულ „ბეემპესთან“ ერთად. გურამ იმნაიშვილი, ვანო ზაქროშვილი (ჩიბუხა), გელა ზარდიაშვილი და გიორგი ლოგუა შემოჭრილი სეპარატისტების ერთი ხაზის შუაზე გახლეჩას ცდილობენ. კამაზით შეიჭრნენ პოზიციებზე გოგი გარსევანიშვილი, ერეკლე დანელია (უზრდელა), ნუგზარ როსტიაშვილი და მიშა ცილიკიშვილი (ჯოჯო). ერთმანეთისკენ ზურგით და პირით მტრისკენ იკავებენ პოზიციებს და ისე ცელავენ სეპარატისტებს მარჯვენა და მარცხენა მხარეს.

მალხაზ ვაჩეიშვილი („ვაჩე) და გია გელოვანი მეოთხე ბატალიონის ბიჭებთან ერთად რკალზე ადუღებენ კონფედერატებს. 605-ე სიმაღლეს ვერ უკავშირდება ბუთხუზ თოხაძე, რომ თავისი სამი მცირეწლოვანი შვილის და ოჯახის ამბავი გაიგოს. იმ სიმაღლეზეც გააფთრებული ბრძოლებია, ვის სცალია რაციისთვის.

ბუთხუზას 605 აღებული ჰგონია და თავისი ოჯახიც ამოხოცილი. ბუთხუზას თითქოს მეორე მეომარიც ჰყავს სხეულში ჩასახლებული, არნახულად გამწარებული იბრძვის და მიყოლებით აწყობს ერთმანეთზე მომხდურებს. გავეშებულ თოხაძეს უადგილო რჩევას აძლევს მიხო მორჩილაძე, პოზიციის დატოვების შესახებ. ყურსაც არ უგდებს, ისე ცელავს მტერს ბუთხუზა.

თოხაძის ბატალიონთან და მხედრიონელებთან ერთად ქუთაისის 21-ე ბრიგადის თხუთმეტიოდე მებრძოლია ბესლახუბის პოზიციაზე. სასწაულებს ახდენს ისე ადგილმონაცვლეობით ცხრილავს 85-იანი „პუშკით“ კონფედერატებს დოხტურა. ანზორ ქარჩავა (ჭუია) ფეხით მირბის იმ ტერიტორიისკენ, სადაც ბუთხუზას სახლია. რკინიგზის ხიდზე შევარდა, მდინარეს ჩახედა ინსტიქტურად და შეუსვენებელი დაგა-დუგისგან განათებულზე შეამჩნია, გაბერილი კამერებით როგორ მოცურავენ სეპარატისტები. „რპგ 545“ აამუშავა ჭუაიამ, მდინარეშივე ჩაცხრილა მომხდურები.

– ამ დროს უშუალოდ ოჩამჩირეში რა ხდება?

– ზღვიდან ნაპირზე მოდგომას ცდილობენ კატარღები. საშინელი შტორმია ზღვაში, სამიდან ვერც ერთი ვერ ახერხებს სეპარატისტების ნაპირზე გადმოსხმას. ამ დროს ქალაქში უკვე შემოსულები არიან მტრის რაზმები. ქალაქშივე უერთდებიან მათ ოჩამჩირეში მაცხოვრებელი, კბილებამდე შეიარაღებული, ე.წ. მშვიდობიანი აფხაზები და სომხები. ნახევარი ქალაქი უკვე დაკავებული აქვთ სეპარატისტებს. გააფთრებული ბრძოლები მიდის ღალიძგის ხიდზე. ხელში იჭრება ჯამბულ ხოფერია, ტყვია ძვალს უმტვრევს. ჩემთან ამორბის შტაბში. ხელს ვუხვევ სასწრაფოდ, მერე რაღაც გამაყუჩებელს ვუკეთებ. დამსხვრეული ძვლის ტკივილს რომელი ანალგინი, თუ ბარალგინი გაუყუჩებს, ისევ ბრძოლაში ებმება ჯამბულა. ძმის, აჩიკო ხოფერიას და ლანჩხუთელი მეომრების გვერდით იბრძვის ისევ დამსხვრეული ხელით.

თექვსმეტსართულიან პოსტზე მყოფი ნუგზარ მაჭარაშვილი ჩაცხრილეს. გია სიხარულიძე, რომელმაც შენობიდან გამოსვლაც ვერ მოასწრო, თავში მოხვედრილი ტყვიისგან დაიღუპა. გააფთრებული უტევენ გარსშემოხვეულ სეპარატისტებს ზურა ხმალაძე (ვაჟნი), გიორგი ჭეიშვილი, გოგა ოდიშარია. ნუგზარ ცაგარეიშვილი, მალხაზ გიგაური და სხვა ლეგიონერები ქუჩებში ებრძვიან კონფედერატებს და ათასი ჯურის მომხდურებს. შტაბის მიმდებარედ უკვე ხელჩართული ბრძოლებია გამართული.

დათო მამულაიშვილი, ვიქტორ შაფათავა ბიჭებთან ერთად გზაჯვარედინზე ცელავენ მტერს. პოზიციებს ვუკავშირდები, ჩვეული სიმშვიდით ვეუბნები, რომ სიხშირეების შემოწმების გამო რამდენიმე წუთით გავდივარ კავშირიდან, ვირწმუნები, რომ ქალაქში არაფერი ხდება – სიმშვიდეა; მერე კი სასწრაფოდ ჩავრბივარ ქვემოთ, შტაბის ეზოში, ჩემი განუყრელი, „აფიცერსკი“ (ვარსკვლავიანი) კალაშნიკოვით. ვეშველები ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმულ ბიჭებს. ისე ახლოს არიან მომხდურები, მათ საზიზღარ სუნსაც ვგრძნობ. უკუნ სიბნელეში მათ სახეებს ვერ ვხედავ, მაგრამ აღვიქვამ, გავეშებულებს როგორი პირუტყვული გამომეტყველება აქვთ. ბიჭები „შტიკნოჟებით“ ამუშავდნენ, ახლა ყველაფერი ღმერთის ნებასა და ჩვენს სისხარტეზეა დამოკიდებული. იმ მომენტში თავში მხოლოდ ერთი მიტრიალებს: სწრაფად! სროლის საშუალება არ უნდა მივცეთ, ახლა „შტიკნოჟია“ ჩვენი ერთადერთი გამოსაყენებელი იარაღი.

დათო მამულაიშვილი და ბიჭები ზღვის ნაპირისკენ, შტაბისკენ ტრიალდებიან. ზურგიდან უვლიან სეპარატისტებს, ერთმანეთზე აწყობენ ვირთხებივით ხაფანგში მომწყვდეულებს. ტყვეებიც აჰყავს დათოს. ტყვარჩელის ქუჩის შესახვევში კიკვიძეების ოჯახი მათ ქუჩაზე შეჭრილ სეპარატისტებს ებრძვის გააფთრებით, მათ ირაკლი გადელიაც წაეშველება და მიაწყობენ ერთმანეთზე ოჩამჩირელ მებრძოლებს.

საამოდ ელამუნება ყურს ჩვენი გრადის გრიალი. ზედმეტად გათავხედებულ ერთ კატარღას ფსკერზე მიუჩენს ადგილს გრადი. ორი კატარღა უკვე შუა ზღვისკენ იწევს. გია სვანაძე და ზაზა ვეფხვაძე ებმებიან ჩვენთან, შტაბის ირგვლივ გააფთრებულ მებრძოლებთან. ჭიათურელი მხედრიონელებიც მოგვეხმარნენ, შტაბის მიმდებარე ტერიტორიას ვასუფთავებთ. მერე ისევ ავრბივარ მესამე სართულზე, რაციებთან ვკალათდები, ყველა პოზიციას ვუკავშირდები, კიდევ ერთხელ ვრწმუნდები ქალაქის სიმშვიდეში, თან მტრის სისხლით მოთხვრილ ტანსაცმელს სასწრაფოდ ვიცვლი.

მდინარეშივე ხოცავენ კონფედერატებს ანზორ მარგიანი (კომენდანტი), ომარ ლუხუტაშვილი, გია ვაშაკიძე, გოჩა ჭელიძე, ავთო იოსელიანი, გურამ მარგიანი. ბეტეერი მიაყენა ვაშაკიძემ მდინარეს. თოკები ჩაება ჩახოცილებს და 3 ცოცხალ ჩეჩენს. თოკებით ამოათრიეს წყლიდან. ლანჩხუთელი, სამტრედიელი, ჭიათურელი, ბაღდათელი, ვანელი მხედრიონელები მდინარეში შეცვივდნენ ქალაქის შემოსასვლელიდან ოდნავ მოშორებით. მდინარით შემოსულებთან ახლა ხელჩართული ბრძოლა აქვთ ბიჭებს. როგორც იქნა, სამშვიდობოს გამოყვანილი ოჯახის შესახებ ვაცნობე ბუთხუზ თოხაძეს. ახლა ისეთი ხალისით იბრძვის ბუთხუზა, თვალის მიდევნებაც უჭირთ მტრის რაზმაში საოცარი სისწრაფით შეჭრილ ამ ბრგე ვაჟკაცისათვის ბიჭებს.

როგორც იქნა, გათენდა. ოჩამჩირეში შემოჭრილი, გამესამედებული რაზმები ახლა გაქცევას ცდილობენ. ახლა უკვე გაქცეულებს დაუხვდებათ მამულაიშვილი და ბიჭები, ამოხოცავენ გაგანია ბრძოლაში სეპარატისტებს. ლეგიონერები ქალაქის ქუჩებში ნადირობენ კონფედერატებზე და ვანია რუსებზე. „პაზიკით“ აპირებენ გაქცევას გადარჩენილი სეპარატისტები, ავტობუსშივე ჩახოცეს ბიჭებმა.

პრიმორსკიდან გზის მოსაჭრელად დაედევნა ბუთხუზას ტანკი და „ბმპ“ გაქცეულებს. გალის მხრიდან დათო შენგელია გალელი მხედრიონელებით და რუდიკ ცატავა (გალის გამგებელი) დაუხვდნენ გაქცეულებს. დაუნანებლად ჩაჟლიტეს კონფედერატები. გია შარაშიძე ბიჭებთან ერთად სახლებში ახლად შეყუჟულ ადგილობრივ სეპარატისტებს ერეკება შტაბისკენ. ქუჩებში დაყრილები არიან დახოცილი მომხდურები.

მედიცინა

ნევროზი

– სვით ნაყოფების ერთ წონით ნაწილზე იღებენ ოთხ წონით ნაწილ 70%-იან სპირტს. მიღებულ ნაყენს დღეში ორჯერ, სადილობისა და ძილის წინ ერთ ნატეხ შაქარზე ან ჩაის კოვზ წყალში განზავებით 5-7 წვეთ ნაყენს იღებენ.

❖ ❖ ❖

– ხელის მუჭში ჩაიყარეთ 3-4 ცალი კაკალი და ნელ-ნელა ატრიალეთ თითების დახმარებით. ამგვარი თერაპია უხსოვარი დროიდან არის ცნობილი. დადგენილია, რომ ხელის მტევნების მუშაობა ფსიქოლოგიურ სიმშვიდეს იწვევს და ტვინის ცენტრებში გადაღლილობის განვითარებას დროებით აჩერებს, ვინაიდან თითების ბოლოებში არსებული ურიცხვი ნერვული დაბოლოებები უშუალოდ თავთან არის დაკავშირებული. ამგვარი მანიპულაციის შედეგად ხელებში აქტიურდება სისხლის მიმოქცევა, რაც ადამიანის ემოციურ მდგომარეობას და ფიზიკურ ჯანმრთელობას უწყობს ხელს.

❖ ❖ ❖

– 1 სუფრის კოვზი დაქუცმაცებული სვიის გირჩები მოათავსეთ მომინანქრებულ ჭურჭელში, დაასხით 200 მლ მდუღარე წყალი და გააჩერეთ მდუღარე წყლის აბაზანაში 15 წუთი. გააცივეთ 45 წუთის განმავლობაში ოთახის ტემპერატურაზე. გადაწურეთ, შეავსეთ საწყის მოცულობამდე (200 მლ-მდე) მიიღეთ 1/2 ჭიქა 4 ჭიქა 3-4-ჯერ დღეში ჭამის წინ.

გაფრთხილება: არ დაგავიწყდეთ, რომ გირჩები შხამიანია

ნერვული დაავადებების მკურნალობა ხალხური რეცეპტებით

და მისი ნაყენების დიდი დოზებით მიღებამდე შეიძლება გამოიწვიოს პირღებინება, ტკივილები მუცლის არეში, თავის ტკივილი, დამტვრეულობისა და საერთო სისუსტის გრძნობა.

❖ ❖ ❖

– სვიის ნაყენის მომზადება ცივი სახითაც შეიძლება. ამისათვის 1-2 ჩაის კოვზ დაქუცმაცებულ გირჩებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა ცივი წყალი, გააჩერეთ 12-14 საათი, გადაწურეთ და მიიღეთ ყლუპებით, ძილის წინ.

აგრეთვე რეკომენდებულია სვიის გირჩებით ავსებული ბალიშების ხმარებაც.

❖ ❖ ❖

– დაამზადეთ შემდეგი ნარევის ჩაი: სურნელოვანი ჩიტისთვალა – 20 გრამი, მაყვლის ფოთლები – 25 გრამი, ურცი – 10 გრამი, შავბალახა – 20 გრამი, ბერულა – 15 გრამი. კარგად შეურიეთ ერთმანეთს. ნარევის 30 გრამს დაასხით 300 გრამი ადუღებული წყალი. გაგრილების შემდეგ გადაწურეთ. მიიღეთ დღეში 3-ჯერ 100 გრამის ოდენობით.

❖ ❖ ❖

– მაყვლის ნედლი ნაყოფებისგან დაამზადეთ ჩაი და სვით ჩაის მაგიერ.

დეპრესია

– 1 სუფრის კოვზ გვრილისებური ასტრიის ფოთლებს დაასხით 1 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალი, გააგრილეთ, გაწურეთ. სვით თითო სუფრის კოვზი დღეში 3-4-ჯერ ააქტიურებს და ამაგრებს ნერვულ სისტემას.

❖ ❖ ❖

– დეპრესიის მიზეზად ხშირად გვევლინება ორგანიზმში რძის მჟავის უკმარისობა. ყველაზე ხშირად ეს ემართებათ იმ ადამიანებს, რომლებიც მიირთმევენ დიდი რაოდენობით ხორცს და ძალიან ცოტა რძის პროდუქტებს. მეცნიერები რეკომენდაციას უწევენ სამთვიან მკურნალობის კურსს პურის ბურახითა და მჟავე კომბოსტოს წვენით.

❖ ❖ ❖

– **ვარჯიში 1.** გადაჯაჭვეთ ხელები, გადაიტანეთ ხელები თავს უკან, ფეხები დადგით მხრების სიგანეზე, ფეხის წვერები განზე. გააკეთეთ ამოსუნთქვა, მოღუნეთ ფეხები, შეაყოვნეთ ამ მდგომარეობაში ხუთი წამი. ახლა ნელა დაბრუნდით საწყის მდგომარეობაში, ჩაისუნთქეთ. გააკეთე ეს ვარჯიში დილასაღამოს მინიმუმ 10-ჯერ.

ვარჯიში 2. დამჯდარ მდგომარეობაში მოხვიეთ ხელები მუხლებს და რაც შეიძლება მჭიდროდ მიეკარით მათ (2 წუთი).

ვარჯიში 3. დაწექით ზურგზე, დაიდეთ ზელის ქვემოთ კაკალი ან პატარა ბურთი, რომლებიც მნიშვნელოვნად აღიზიანებენ წერტილს, რომელიც წელზე მდებარეობს. ვარჯიში რამდენიმე წუთში მხნეობას და ძალას მოგმატებთ. შეასრულეთ ეს ვარჯიში ძილის წინ 10 წუთით ადრე.

ეროვნული პოლიტიკა

სტოლტენბერგი: უკრაინისადმი დახმარება უნდა გაფართოვდეს!

რუსეთ-უკრაინის ომში ახალი შემობრუნებაა. ყველაზე ცხელ წერტილად კვლავაც ავდეევკა რჩება. ამავე დროს, აქაც ერთგვარი ცვლილებები შეინიშნება. ოკუპანტებმა ავდეევკაზე სახმელეთო შეტევები შეამცირეს. სამაგიეროდ გაიზარდა ქალაქის დაბომბვები.

ავდეევკის დაბომბვებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ დღეს, როცა დადგა ნოემბერი და სიცივეები დაიწყო. მოსახლეობამ უკვე ე.წ. „ბურჟუიკები" დაანთო, რათა სიცივისაგან თავი დაიცვას. ამ დროს კი რუსები ქალაქს ბომბავენ. ხალხიც იძულებულია, სარდაფებს შეაფაროს თავი.

ასეა თუ ისე, რუსებმა ავდეევკის აღება კვლავაც ვერ შეძლეს.

რაც შეეხება მდგომარეობას ფრონტის სხვა უბნებზე, იქ ვითარება შედარებით სტაბილურია. ერთგან ოკუპანტების წნეხი იზრდება, მეორეგან ვერა. ომის მასშტაბები ფართოვდება.

ამ მოსაზრებას ნატოს გენერალური მდივანი სტოლტენბერგიც ეთანხმება. ის პირდაპირ აცხადებს, რომ რუსეთს უფრო მეტი თვითმფრინავები და რაკეტები აქვს, ვიდრე უკრაინას, ბევრად მეტი მობილიზაციური რესურსიც გააჩნია. გამომდინარე აქედან, უკრაინას აგრესორის დამარცხება მხოლოდ დასავლური უახლესი სამხედრო ტექნიკის მეშვეობით შეუძლია.

დასავლეთის დახმარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს დღეს. რუსეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობს ფარული მობილიზაცია. იქმნება ე.წ. „დამრტყმელი ძალა", რომელიც უკრაინულ ფრონტზე მასიურ შეტევაზე გადავა.

ბაიდენი სი ცზინპინს ხვდება

დღეს აშშ-ის პრეზიდენტი ბაიდენი ჩინეთის ლიდერს სი ცზინპინს ხვდება. ექსპერტები ამ შეხვედრიდან ბევრს არაფერს ელოდნენ.

მაქსიმუმი, რისი მიღწევაც ამ ეტაპზეა შესაძლებელი, ისაა, რომ აშშ-ჩინეთის კონფლიქტი შეიარაღებულ დაპირისპირებაში არ გადაიზარდოს. ეს, უწინარეს ყოვლისა, ეხება ტაივანს. ჩინეთი ამ ნახევარკუნძულს თავისად მიიჩნევს და მისი ანექსია სურს.

თურქეთმა ისრაელს საერთაშორისო სასამართლოში უჩივლა

თურქეთმა ისრაელს საერთაშორისო სასამართლოში უჩივლა. ამის თაობაზე თავად პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა.

– ისრაელმა ღაზაში ნამდვილი გენოციდი გააჩაღა! ამაზე თვალის დახუჭვა დაუშვებელია! – ამბობს ერდოღანი.

უკრაინისადმი დახმარების საკითხი კრიტიკულ ნიშნულზეა!

რუსეთ-უკრაინის ფრონტებზე განუწყვეტელი ბრძოლებია. ამან დიდი რესურები მოითხოვა. აშშ ამას ვერ სწვდება.

– აუცილებელია, კონგრესმა დაუყოვნებლივ დააკმაყოფილოს პრეზიდენტ ბაიდენის მოთხოვნა, უკრაინისთვის დამატებითი დახმარების გამოყოფის შესახებ, – აცხადებს აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი მილერი.

დანაკარგები ოკუპანტების რიგებში

ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 5.377; ბრონირებული საბრძოლო მანქანები – 10.104; არტილერია – 7.647; თვითმფრინავები – 323; ვერტმფრენები – 324.

განადგურებულია – 314. 290 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

მამაკაცმა სანტექნიკოსი მძევლად აიყვანა

ესპანეთში ბინის პატრონმა მამაკაცმა მის სახლში მყოფი სანტექნიკოსი მძევლად აიყვანა, რის გამოც საპატიმროში ამოყო თავი.

4 ნოემბერს სანტექნიკოსი, რომლის ვინაობა არ მყღავნდება, ქალაქ მალაგაში გამოძახების ადგილზე მივიდა, სადაც ბინის პატრონის განცხადების თანახმად, მილიდან წყალი ჟონავდა. ის ბინაში შევიდა, დაზიანების ადგილი დაათვალიერა, პრობლემა შეაფასა და ბინის პატრონს ის თანხა დაუსახელა, რაც მისი მოგვარება დაჯდებოდა. ჩასატარებელი სამუშაოს ფასი ესპანელს იმდენად ეძვირა, რომ გაცოფდა და სანტექნიკოსს პისტოლეტი მოუღერა.

ფანჯრიდან გამოსული ყვირილის და ბრახუნის ხმაზე მეზობლებმა პოლიცია გამოიძახეს. ადგილზე მისული სამართალდამცავების მოთხოვნაზე პისტოლეტიანმა მამაკაცმა მათ უპასუხა, რომ მძევლად აყვანილი სატექნიკოსის განთავისუფლებას არ აპირებდა და გაზის ბალონის აფეთქებით დაიმუქრა, თუ ვინმე მის ბინაში შეღწევას შეეცდებოდა.

პოლიციამ გადაწყვიტა ფრთხილად ემოქმედა. გარკვეული დროის შემდეგ, როდესაც დამნაშავე სანტექნიკოსთან ერთად გამოჩნდა ფანჯარაში, სამართალდამცავებმა შენიშნეს, რომ ბინის პატრონს ხელში ნამდვილი იარაღი არ ეჭირა. მათ შენობის ევაკუაცია განახორციელეს, იმ შემთხვევისთვის, თუ აფეთქება მოხდებოდა და მამაკაცთან მოლაპარაკებები დაიწყეს. მათ მოახერხეს, ის დაერწმუნებინათ, შესასვლელი კარი ოდნავ მაინც გამოეღო, რათა ვითომდა სამართალდამცავები დარწმუნებულიყვნენ, რომ სანტექნიკოსი უვნებლად იმყოფებოდა. ამის შემდეგ კი ბინაში სპეციალური დანიშნულების რაზმი შეიჭრა. სპეცოპერაციის შედეგად მძევლად აყვანილი სანტექნიკოსი გაათავისუფლეს, ხოლო ბინის პატრონი დააპატიმრეს.

უცნობია, თუ რა თანხის გამო აიყვანა ბინის პატრონმა სანტექნიკოსი მძევლად. ამ დანაშაულისთვის მამაკაცს პატიმრობა ემუქრება.

პრინცმა უილიამმა მეუღლე საკუთარი სახიფათო ჰობით შეაშინა

მეფე კარლოს III-ის უფროსმა შვილმა, უელსის პრინცმა, უილიამმა საკუთარი მეუღლე კეიტ მიდლტონი თავისი სახიფათო ჰობით შეაშინა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამეფო წყვილის შოტლანდიის დანდი-სიტის ოლქის ქალაქ დანდიში სტუმრობის დროს, კეიტ მიდლტონს ჰკითხეს, ისევ დადის თუ არა მისი მეუღლე მოტოციკლით.

– ის დღემდე მოტოციკლით რბოლით ერთობა, მე კი ყოველ ჯერზე, როდესაც ის მოტოციკლზე ჯდება, შიში მიპყრობს. იმედი მაქვს, რომ ჯორჯს ასეთ გატაცებას თავიდან ავაცილებ, – უპასუხა დასმულ შეკითხვას მომავალმა დედოფალმა.

ეს ყოველივე რამდენიმე წლის წინ იყო, თუმცა, მოგვიანებით, უელსის პრინცმა განაცხადა, რომ საყვარელ ჰობიზე უარს ამბობს.

– სამი შვილის მამა ვარ. ამიტომ იძულებული ვარ, ამ გართობაზე უარი ვთქვა, – განაცხადა მომავალმა მეფემ.

აღსანიშნავია, რომ პრინცი უილიამი დიდი ხნის განმავლობაში იყო გატაცებული მოტოციკლით სეირნობით. მან 2011 წელს ლონდონში ქორწილის წინ გაისეირნა მოტოციკლზე ამხედრებულმა, ხოლო 2008 წელს თავის უმცროს ძმა ჰარისთან ერთად სამხრეთ აფრიკაში გამართულ საქველმოქმედო მოტოგარბენში მიიღო მონაწილეობა. დღეისთვის კი მომავალი მეფე მხოლოდ ელექტროსკუტერით სარგებლობს, ისიც მხოლოდ უინძორის სამეფო რეზიდენციის ტერიტორიაზე.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შოტლანდია მოსაგებად მოდის, სანიოლის ექსპერიმენტების დრო არ აქვს



16 ნოემბერს, საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩს „დინამო არენაზე" შოტლანდიის ნაკრებთან გამართავს.

მატჩის წინ ორივე ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა პრესკონფერენცია გამართა. ერთია, შოტლანდიელთა თავკაცი სტივ კლარკი ონლაინ რეჟიმში ჩაერთო.

ვილი სანიოლი:

– მოლოდინების შექმნა, შესაძლოა, იმედგაცრუებით დამთავრდეს. ხვალ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი გველოდება. შოტლანდია ევროზე უკვე გავიდა, ძალიან მაგრად ჩაატარა საკვალიფიკაციო ეტაპი. ჩვენი მიზანი ფლეი ოფისთვის მომზადებაა და ამ მხრივ მნიშვნელოვანი შეხვედრა არის. დანარჩენი კი, მოედანზე გამოჩნდება.

გუნდში კარგი ატმოსფეროა, ფეხბურთელები თავს კარგად გრძნობენ. სექტემბრის მატჩების მერე ოქტომბერში განწყობა გამოვიკეთეთ...

დავითაშვილს რაც შეეხება, ვესაუბრე, ჰქონდა არჩევანი, წასულიყო ოჯახთან ან დარჩენილიყო. პასუხებიდან გავიგე, რომ ნაკრები მისთვის უმნიშვნელოვანესია და ჩვენთან დარჩენა გადაწყვიტა.

გაბრიელ სიგუას მამამ შეგვატყობინა, რომ აქილევსის ქუსლი აწუხებდა, სხვა ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელია...

შემტევებს ბალანსის დაცვას ვთხოვ. ჩაკვეტაძე ჩვენთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა და მისი პროგრესი ძალიან მახარებს. იმედია, სწორად მუშაობას გააგრძელებს. მოედანზე რამდენიმე შემტევის ყოფნით ბალანსი არ უნდა დაირღვეს, მთავარი ესაა.

ახლა ექსპერიმენტების დრო აღარ გვაქვს, ყველა ფეხბურთელმა უნდა იცოდეს, რას ვითხოვთ მათგან. ახალი მოთამაშეები საკმარისად გამოვცადეთ

პრესკონფერენციაზე სანიოლისთან ერთად ჩვენი ნაკრების თავდამსხმელი, გიორგი მიქაუტაძეც იმყოფებოდა:

– სრულ მზადყოფნაში ვარ. ყველაფერს გავაკეთებ, რომ გუნდის წარმატებაში წვლილი შევიტანო. წინ ფლეი ოფის მატჩები გველოდება, ამისთვის ვემზადებით და ძალებს არ დავიშურებ, რომ ნაკრებმა წარმატებას მიაღწიოს.

ვარჯიშებზე ბოლომდე ვიხარჯები და როცა თამაშის შანსი მაქვს, მოედანზეც იმავეს ვაკეთებ. დამატებით სავარჯიშო სესიებსაც ვატარებ. მეცში წარმატებულად ვთამაშობდი და დარწმუნებული ვარ საკუთარ თავში, მჯერა, აიაქსშიც იგივე გამომივა. მწვრთნელთან საუბარი მქონდა – მითხრა, მევარჯიშა და შანსს მივიღებდი. ბევრს ვშრომობ, ინგლისურს ვსწავლობ...

შოტლანდიელებს ევრო 2024-ზე თამაში უკვე განაღდებული აქვს. თუმცა, ორჯერ იყო შემთხვევა, როდესაც სქოთები გავამწარეთ და ორჯერ დავტოვეთ დიდი ტურნირის მიღმა. ერთია, შოტლანდიელთა მთავარ მწვრთნელ სტივ კლარკს წარსული არ აინტერესებს და თბილისში გასამართ მატჩს გამოწვევით უყურებს.

სტივ კლარკი:

– ჩვენს ნაკრებს ბევრი ფეხბურთელი დააკლდება. მსგავსი შემთხვევები კი, შანსს ახალ მოთამაშეებს აძლევს. შესაძლებლობას სხვა ფეხბურთელები მიიღებენ. ვნახოთ, ვინ გამოიჩენს თავს და ევროპის ჩემპიონატის განაცხადში საკუთარი ადგილის მოპოვებას ეცდება.

თბილისში წაგებული თამაშები? წარსული წარსულში რჩება. ყველა მატჩს ინდივიდუალურად ვუყურებთ. ჩვენ კარგ გუნდს ვეთამაშებით, რომელიც ესპანეთთან მატჩის გარდა, კარგად გამოიყურებოდა. ხვალ თამაში სავსე სტადიონის წინაშე მოგვიწევს. ეს კი, ჩვენი გამოწვევა იქნება.

საქართველო-შოტლანდიის მატჩი დღეს, 21:00 საათზე დაიწყება.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ქალაქიდან ქალაქამდე

ლატარიის გამარჯვებულისთვის მოგებული ფულის წართმევას ცდილობდნენ

აშშ-ში გრძელდება სასამართლო პროცესი პოუვერბოლის ლატარიის გათამაშების გამარჯვებულის საქმეზე, რომელიც ისტორიაში ყველაზე დიდი მოგების მფლობელი გახდა.

კალიფორნიის მკვიდრმა ედვინ კასტრომ 2022 წლის ნოემბერში ლატარიის გათამაშებაში ჯეკპოტი მოხსნა. მისმა მოგებამ რეკორდული თანხა 2,04 მილიარდი დოლარი შეადგინა, თუმცა, მალევე მის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი ვინმე ხოსე რივერამ შეიტანა და მოგებული თანხის წართმევა მოინდომა.

მამაკაცის თქმით, ეს მან იყიდა მომგებიანი ლატარიის ბილეთი ალტადინას რაიონში მდებარე ავტოტექმომსახურების სადგურზე, რომელიც მას თითქოსდა სახლის მფლობელმა ურაჩი რომერომ მოპარა, მოგვიანებით კი ის როგორღაც კასტროს ხელში აღმოჩნდა. რომეროს თქმით, ბილეთი მართლაც რივერამ იყიდა, თუმცა, არ იცოდა, თუ როგორ აღმოჩნდა ის კასტროსთან. ამავე დროს ამ უკანასკნელის ადვოკატის დევიდ დეპაოლის მტკიცებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს არანაირი ურთიერთობა არ ჰქონია არც მოსარჩელესა და არც მის მოწმესთან.

სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, რომლებზეც ჩანს, თუ სინამდვილეში ვინ შეიძინა მომგებიანი ლატარიის ბილეთი, ჯერ კიდევ სასამართლოში სარჩელის შეტანამდე ამოიღო კალიფორნიის ლატარიების კომისიამ. თუმცა, გაურკვეველი მიზეზებით, კომისია რამდენიმე თვის განმავლობაში კასტროს ადვოკატს უარს ეუბნებოდა ჩანაწერების ჩვენებაზე და ასევე მისი საზოგადოებისთვის წარდგენაზეც.

ორშაბათს, 13 ნოემბერს დეპაოლიმ განაცხადა, რომ ბოლოსდაბოლოს კომისიამ მას ჩანაწერის ნახვის უფლება მისცა.

– მე პირადად ვნახე სათვალთვალო კამერების ჩანაწერები და იქ ყველაფერი ნათელია. ეჭვგარეშეა, რომ პოუვერბოლის მომგებიანი ბილეთი ედვინ კასტრომ იყიდა, – განაცხადა ადვოკატმა.

ამ განცხადებისთანავე ხოსე რივერას შეგნებულად ცრუ ჩვენებისა და დაბეზღების ბრალდება წარედგინა. საქმის შემდეგი მოსმენა 1 დეკემბრისთვისაა ჩანიშნული.

კალიფორნიის კომისიაში განაცხადეს, რომ აღნიშნულ საქმეზე კომენტარს ვერ გააკეთებენ, ვინაიდან მისი სასამართლო მოსმენა ჯერ არ დასრულებულა. თუმცა, ორგანიზაციის პრესმდივანმა განაცხადა, რომ კომისია კასტროს გათამაშების კანონიერ გამარჯვებულად მიიჩნევს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

მაცარისთვის ქართველი გარემარბი არის ძვირფასი ქვა, რომელსაც მტვერი უნდა ჩამობერტყოს და გაბრწყინდება

ვალტერ მაცარიმ ნაპოლიში მუშაობა დაიწყო, მაგრამ ხვიჩა კვარაცხელიას გარეშე. მიზეზი ბანალურია – ქართველი ფეხბურთელი ნაკრებშია გამოძახებული.

დიახ, ნაპოლის ვალტერ მაცარი გაწვრთნის. რუდი გარსიას გადადგომა საათების საკითხი იყო და ასეც მოხდა. აურელიო დე ლაურენტისსაც ბევრი არ უძებნია და...

როგორც ჩანს, ნაპოლის პრეზიდენტს ტოსკანელი მწვრთნელები უყვარს – ბევრი ეძება რუდი გარსიას შემცვლელი თუ ცოტა, საბოლოოდ, ძველ უბის წიგნაკში ჩაიხედა და ვალტერ მაცარი ამოიკითხა. მაცარი, ისევე როგორც ლუჩანო სპალეტი და მაურიციო სარი, ტოსკანადან არის და ნაპოლიში დაბრუნდა.

იტალიურ პრესაში გაჩნდა მოსაზრება, რომ ნაპოლის ძალიან ძლიერმა შემადგენლობამ გარსია პირველივე დღიდან ვერ მიიღო. ეს არა უცხო ტაქტიკის გამო მოხდა, არამედ ადამიანურ ურთიერთობაში არსებული პრობლემით იყო გამოწვეული. ფრანგის ქცევა ძალიან განსხვავდებოდა იმისგან, რასაც „აძურის“ ფეხბურთელები სპალეტისთან მიეჩვივნენ.

ნურავინ იფიქრებს, რომ მაცარის ხასიათის სირთულეები არ აქვს ან მისი დაბრუნება რომელიმე სერიალის ნოსტალგიური ეპიზოდია. ის ნეაპოლში დაბრუნდა კონკრეტული ამოცანით, აღადგინოს გუნდი, რომელიც ადრე სხვებს 20 ქულით უსწრებდა, ახლა კი 10 ქულით ჩამორჩება.

მაცარი ნაპოლიში 1998-99 წლებში მეკარეების, 2009-13 წლებში კი, მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. თუმცა, ნეაპოლიდან წასვლის შემდეგ, სარისგან განსხვავებით, საკუთარი ნიჭის დიდ გუნდებში გამოცდის შესაძლებლობა არ მისცემია. ერთი ხანობა ინტერში მოსინჯა თავი, მაგრამ ცუდი შედეგები ჰქონდა. დასამშვიდებლად მხოლოდ ის თუ ივარგებს, რომ ფეხბურთელები კიდევ უფრო ცუდი ჰყავდა. მერე ტოსკანელმა პრემიერლიგაში, უოტფორდში იმუშავა. იქ ურიგო შედეგები არ ჰქონია, მაგრამ ციდან ვარსკვლავები არ მოუწყვეტია. თუმცა, ინგლისში ცოდნა გაიმდიდრა, გაიგო, როგორ უნდა ინტენსიური ფეხბურთის თამაში. შემდეგ საშუალო დონის იტალიურ საკლუბო ფეხბურთს დაუბრუნდა. თუმცა, მაცარი ყოველთვის ამბობდა, რომ დიდი გამოწვევებისკენ ილტვოდა და აი, დე ლაურენტისმა ეს შანსი მისცა.

გარსია უფრო პრაქტიკოსი იყო, ვიდრე თეორეტიკოსი. მაცარი მუდამ ახალი თეორიების სწავლაშია. გარსიას თვითონ არ ახსოვდა, ბოლოს როდის გაიარა თეორიული კურსი. გარდა ამისა, მას ერთ-ერთ ინტვიუში წამოსცდა, რომ სპალეტისა და მისი ნაპოლის შესახებ წარმოდგენა არ ჰქონდა, მაცარიმ კი თქვა, რომ სპალეტის გუნდის თამაშს სწავლობდა.

მაცარის საყვარელი სქემა 3-5-2 ან 3-4-2-1 არის. თუმცა, ყოველთვის არსებულ კონტიგენტზე დაყრდნობით მუშაობდა. კალიარისა და ტორინოსთვის მაგალითად ზემოთ ხსენებული განლაგებები ტრადიციულია. თავად მაცარი ინტერვიუებში ლაპარაკობს მაღალ ინტენსივობაზე, პრესინგზე, ფეხბურთელების ინდივიდუალურ ჩართვებზე და ასე შემდეგ. ერთია, ეს ყველაფერი ლამაზი სიტყვებია, რომელთაც განხორციელება სჭირდება. ახლა 2023 წელია, რომელიც ფეხბურთის განვითარების თვალსაზრისით, თითქოსდა ახლახან გავლილი 2013 წლისგან ძალიან განსხვავდება. თანამედროვე ფეხბურთელებმა სწორედ 2023 წლის ფეხბურთის თამაში იციან და როგორც იტალიური მედია წერს, იმედია, არ მოისმენენ ისეთ რამეს, როგორიც არის – კუთხურების დროს თუ ვიგებთ, უკან სამი კაცი უნდა დარჩეს, ხოლო თუ ვაგებთ, ორი. მაცარის თანამედროვე ფეხბურთის თამაში მოუწევს...

პოპულარული „გაძეტა დელო სპორტის“ პირდაპირ წერს, რომ გარსიას გაშვება და მაცარის დანიშვნა ნაპოლიში ბევრ ცვლილებას გამოიწვევს. ახალი მწვრთნელის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იმ ფეხბურთელების „გადატვირთვა“ იქნება, რომლებსაც ფრანგის ხელში საკუთარი თავის პოვნა გაუჭირდათ.

ერთ-ერთი მათგანია იესპერ ლინდსტრომი, ფრანკფურტის ყოფილი ნახევარმცველი, რომელიც მართალია „პარტენოპეელთა“ ყველაზე ძვირი შენაძენი იყო, მაგრამ გარსიამ სათამაშო წუთები არა და არ აღირსა.

კიდევ ერთი ფეხბურთელი, ვინც გარსიამ მიივიწყა არის ჩრდილო მაკედონიელი ელიფ ელმასი. სპალეტის ის გუნდის მეთორმეტე წევრად მიაჩნდა, ფრანგმა კი ღრმა თადარიგში მოისროლა.

ჩოლიტო ანუ ჯოვანი სიმეონე სპალეტის ხელში ვიქტორ ოსიმენის მარქაფა იყო, ახლა კი აჩრდილია. მაცარისგან არგენტინელი გამოცოცხლებას ელის. მას ხშირი ჩაწოდებები სჭირდება, დაახლოებით ისე, როგორც ეს ემპოლისთან ბოლო მატჩში იყო.

„პროფესორი“ მარიო რუი კი, გარსიამ მატიას ოლივერას სათადარიგოდ აქცია. შედეგად პორტუგალიელმა ფორმა დაკარგა. „გაძეტა დელო სპორტის“ აზრით, მარიო რუი იმდენად მაღალი კლასის ფეხბურთელია, რომ მაცარიმ მოედანზე უნდა დააბრუნოს. ის ძალიან სასარგებლოა სტანდარტული მდგომარეობების დროს და კვარასთვის შურდულის ფუნქციას ასრულებს.

და ბოლოს თავად კვარა, რომელსაც გარსია უდროო დროს ცვლიდა. ქართველი ხშირად ცდილობდა ოლივერასთან კომბინაციის გათამაშებას, მაგრამ როდესაც ურუგვაელი წინ მიდის, ლამისაა ქუსლზე აბიჯებს ფეხს. მართალია, კვარამ ემპოლისთან შეხვედრაში ფრანგი სამსახურიდან გაშვებას კინაღამ გადაარჩინა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ გარსიას ხელში აშკარად შეიზღუდა. მაცარისთვის ქართველი გარემარბი არის ძვირფასი ქვა, რომელსაც მტვერი უნდა ჩამობერტყოს და გაბრწყინდება.

რაც შეეხება ფეხბურთელებთან ურთიერთობას, ვერავინ გაიხსენებს, იყო თუ არა ოდესმე რომელიმე გუნდი ამხედრებული მაცარის წინააღმდეგ. იცის, ფეხბურთელებს თავი როგორ უნდა შეაყვაროს. და მაინც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შეძლებს თუ არა მაცარი ოსიმენს, კვარაცხელიას, დი ლორენცოსა და ლობოტკას ისეთი ტაქტიკური დავალებები მისცეს, როგორის მოსმენაც მათ სჭირდებათ.

ვალტერ მაცარი:

– იღბლიანი კაცი ვარ, რადგან სხვადასხვანაირ გუნდებში მიმუშავია. რეჯინაში თავი უნდა გადაგვერჩინა, სამპდორიაში მნიშვნელოვანი ნახტომი უნდა გაგვეკეთებინა. შემდეგ მყავდა ნაპოლი, ინტერი... და ყოველთვის ვერგებოდი სიტუაციას. ამის მიუხედავად, ფილოსოფია არასდროს შემიცვლია. ჩემი ამოცანა ყოველთვის ფეხბურთელების ნიჭის გაღვივება და წარმოჩენა იყო...

ვნახოთ როგორ იმუშავებს მაცარი ნაპოლის ნიჭიერ ფეხბურთელებთან. ცხადია, მათ შორის მოიაზრება ხვიჩა კვარაცხელიაც...

ბითაძის რეკორდი, მამუს ტრავმა, შენგელიას აღიარება

ნბა-ში რეგულარული სეზონის მორიგი მატჩები გაიმართა. ითამაშა ორივე ქართველის გუნდმა, მაგრამ პარკეტზე მხოლოდ ერთი მათგანი ვიხილეთ.

გოგა ბითაძის ორლანდო მეჯიქი ბრუკლინ ნეტს ესტუმრა და 104:124 დამარცხდა. ჩვენებური ამჯერადაც სასტარტო შემადგენლობაში იყო. გოგამ 24:24 წუთი ითამაშა, რა დროშიც 14 ქულა, 3 მოხსნა, 1 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. გოგამ ექვსივე ორქულიანი და ორივე საჯარიმო ჩააგდო, ერთი სამქულიანი კი, ააცილა.

14 ქულა ბითაძისთვის ამ სეზონში სარეკორდოა.

ორლანდოელთა მხრიდან გოგაზე მაღალი შედეგი მხოლოდ ორ კალათბურთელს ჰქონდა – ფრანც ვაგნერმა 21 ქულით დააგროვა, ხოლო პაოლო ბანკეროს 19 ქულა ჰქონდა.

მატჩის შემდეგ პრესკონფერენციაზე სწორედ გოგა ბითაძემ ისაუბრა:

– ეს ანგარიშში გაქცევის თამაშია. ჩვენ ჩვენი გაქცევა განვახორციელეთ, მაგრამ მატჩის მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა. ჩვენი თამაშის გეგმა და ის, რისთვისაც გვინდოდა მიგვეღწია, ვერ განვახორციელეთ. შესაბამისად, წავაგეთ, მაგრამ ახლა შემდეგ მატჩზე უნდა ვიფიქროთ. უნდა დავბრუნდეთ და მოვიგოთ.



ძირითადად ვცდილობ, რომ კარგი სქრინები დავაყენო, ფარქვეშ ზეწოლა გავაძლიერო და შეტევაში ბურთები მოვხსნა. თანაგუნდელები კარგ პასებს მაძლევდნენ და მხოლოდ იმის გაკეთება მიწევდა, რომ შეტევა კარგად დამესრულებინა. საერთო ჯამში, ყველანი უკეთესები უნდა ვიყოთ და მარტივი ქულები უნდა მოვიპოვოთ. შეტევაში ბევრი მოხსნა ჰქონდათ, რაც ჩემი ბრალიცაა, ამაში უკეთესი უნდა ვიყო და ამის გამოსწორების შანსი გვაქვს.

ორლანდო შემდეგ მატჩს ჩიკაგო ბულსთან გამართავს.

მორიგი მატჩი გამართა სანდრო მამუკელაშვილის სან ანტონიო სპურსმაც, რომელიც ოკლაჰომას დაუპირისპირდა და 36 ქულით 87:123 განადგურდა. გავრცელებული ინფორმაციით, სანდროს ტრავმა აქვს და ამის გამო ვერ ითამაშა. თუმცა, დიდი სათამაშო დრო არც ჯანმრთელს ეძლევა...

ევროლიგის მერვე ტურში თორნიკე შენგელიას ვირტუსმა საკუთარ მოედანზე ოლიმპია დაძაბულ ბრძოლაში 86:79 დაამარცხა.

შენგელიამ 28 წუთში 14 ქულა, 6 მოხსნა, 4 პასი და 2 ჩაჭრა მიითვალა. საქართველოს ნაკრების კაპიტანმა 8-დან 5 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, შედეგად მისი მარგი ქმედების კოეფიციენტი 20-ს გაუტოლდა.

ვირტუსი 6 მოგებით და 2 წაგებით სატურნირო ცხრილში მე-3 ადგილზეა, მომდევნო ტურში კი, 17 ნოემბერს, ათენში, პანათინაიკოსს ესტუმრება. ამასობაში, ცნობილმა საკალათბურთოვებ-გვერდმა ეუროჰუპმა ის ხუთი კალათბურთელი დაასახელა, რომელთაც ამ დროისთვის ევროლიგის მიმდინარე სეზონის მვპ-ს ტიტულის მოგების ყველაზე დიდი შანსი აქვთ. რჩეულთა შორის ვირტუს ბოლონიას ქართველი ფორვარდი თორნიკე შენგელიაც მოხვდა, რომელსაც სეზონის სტარტზე ჩინებული სტატისტიკა აქვს: 29:48 წუთი, 17.1 ქულა (მე-4 მაჩვენებელი ლიგაში), 5.1 მოხსნა, 4.2 პასი, სარგებლიანობის კოეფიციენტი 22.8 (მე-2 მაჩვენებელი ლიგაში)

გუნდის შედეგი: 6 მოგება, 2 მარცხი (მე-3 ადგილი)

აი, რას წერენ შენგელიაზე:

– ალბათ, ესპანური ბასკონიას პერიოდს უნდა დავუბრუნდეთ, თუკი ისეთი ძლიერი შენგელიას გახსენება გვსურს, როგორსაც ახლა ვხედავთ. თუმცა, მაშინაც კი, ის არ იყო ასეთი შეუჩერებელი მანქანა, რომელიც მოედანზე მრავალმხრივი ქმედებებით გამოირჩევა და გუნდის თამაში მასზე დიდწილად არის დამოკიდებული.

სწორედ ოქტომბრის თვის მვპ-იდ დასახელებული შენგელიას დამსახურებაა, რომ ამ დროისთვის ბოლონია ევროლიგის ფლეი ოფში გასვლის რეალურ კანდიდატად მიიჩნევა. მისი დამაჯერებელი მოქმედება ვირტუსის სხვა კალათბურთელებსაც ხელ-ფეხს უხსნის, რომ საუკეთესო თვისებები წარმოაჩინონ.

შენგელია ძალიან სახიფათოა ერთ-ერთზე შეტევის დროს, განსაკუთრებით მაშინ, თუკი ეს ფარის სიახლოვეს ხდება. ამას გარდა, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ევროლიგის მაღლებს შორის ის საუკეთესო მეპასეა.

უეროჰუპის ვერსიით, ამ დროისთვის, საუკეთესო ხუთეულში მაიკ ჯეიმსი (მონაკო), ფაკუნდო კამპაცო (რეალი), ლორენცო ბრაუნი (მაკაბი) და ნიკოლა ლაპროვიტოლაც (ბარსელონა) შედიან. აღნიშნული ვებ-გვერდი იმასაც წერს, რომ ევროლიგას ყველა ვარიანტში ახალი მვპ ეყოლება, რადგანაც შარშანდელი გამარჯვებული საშა ვეზენკოვი ბერძნული ოლიმპიაკოსიდან საკრამენტო კინგსში გადაბარგდა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ახალგაზრდული ნაკრები წლის ბოლო მატჩს სკოპიეში ითამაშებს

16 ნოემბერს, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები წლის ბოლო მატჩს სკოპიეში, ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის ჯგუფურ ეტაპზე ჩრდილოეთ მაკედონიის 21-წლამდე გუნდის წინააღმდეგ გამართავს.

ზედიზედ მეორე შეკრებაა. რამაზ სვანაძის გუნდს პაოკის ფორვარდი, ვასილიოს გორდეზიანი ვერ დაეხმარება. სფფ-ს პრესსამსახურის ცნობით, მიზეზი ამჯერადაც ტრავმაა. მის ნაცვლად გუნდს ფოთის კოლხეთის შემტევი დემეტრე გვასალია შეუერთდა.

ჩვენმა ახალგაზრდულმა ნაკრებმა სკოპიეში გუშინ, მატჩისწინა ვარჯიში გამართა. სვანაძის შეგირდები ჯგუფიდან გასვლის შანსს ინარჩუნებენ. 4 მატჩის შემდეგ ლიდერი ნიდერლანდებია – 12 ქულა; საქართველოსა და შვედეთს 7-7 ქულა აქვთ; შემდეგი 6 ქულით მოლდოვაა; მაკედონიელებს 3 ქულა აქვთ; გიბრალტარი კი, უქულოა.

ჩვენი გუნდი სკოპიეში ამ შემადგენლობით ჩავიდა:

მეკარეები: ლევან თანდილაშვილი (ლოკომოტივი), ლუკა ხარატიშვილი (სამტრედია), მიხეილ მაქაცარია (დინამო თბ);

მცველები: გიორგი მაისურაძე, საბა ხვადაგიანი, ნიკოლოზ უგრეხელიძე (ყველა დინამო თბ), საბა გოგლიჩიძე (ტორპედო), საბა მამაცაშვილი (გაგრა), ზურაბ რუხაძე (მეტა, ლატვია), თორნიკე მორჩილაძე (თელავი), საბა საზონოვი (ტორინო, იტალია);

ნახევარმცველები: ლაშა ოდიშარია, ლევან ოსიყმაშვილი (ორივე დინამო თბ), ოთარ მამაგეიშვილი, გიზი მამაგეიშვილი (ორივე საბურთალო), ნოდარ ლომინაძე (სამგურალი), ირაკლი ეგოიანი (ტვენტე, ნიდერლანდები), შალვა ოგბაიძე (დენ ბოსხი, ნიდერლანდები), ლუკა გაგნიძე (დინამო, რუსეთი), დემეტრე გვასალია (კოლხეთი);

თავდამსხმელები: გიორგი კვერნაძე (ფროზინონე, იტალია), ჯადული იობაშვილი (დინამო თბ), გიორგი აბუაშვილი (პეტროლული, რუმინეთი).

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. გოეთეს ტრაგედია; 2. საღებავების წარმოებაში გამოყენებული მოხარშული ზეთი; 3. აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი ნივთი; 5. ხიდის საყრდენი ბურჯი; 6. ინფექციური დაავადების საწინააღმდეგო პრეპარატი; 7. თანამდებობის ყიდვა-გაყიდვა შუა-საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიაში; 11. ქვევრის ღვინოში არსებული მთრიმლავი ნივთიერება; 13. პერიოდულად ამოფრქვევადი ცხელი წყლის წყარო; 14. შამპანურის მწარმოებელი ფრანგული ფირმა; 15. სახელმწიფოს ერთპიროვნული მმართველი; 16. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური ახალ ზელანდიაში; 17. დაუდეგარი ყურძნის წვენი; 19. ფქვილის, მარცვლეულის ვაჭარი ძველად; 20. კახეთში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

თარაზულად: 1. მსხვილი მემამულე, ბატონი; 4. ვრცელი, უტყეო ბალახოვანი ბუნებრივი ზონა; 8. სატანავარჯიშო იარაღი; 9. დამხმარე თეორემა მათემატიკაში; 10. თეატრალური სცენის გასანათლებელი პროჟექტორი; 12. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 14. ესპანეთის კინემატოგრაფისტთა პრემია; 15. უღელტეხილი კავკასიონზე; 16. კომპოზიტორის ნომრით აღნიშნული ნაწარმოები; 18. პორტუგალიის ფეხბურთელთა გუნდი; 21. გურულების ძველებური მოკლე ჩოხა; 22. სითხის, აირის წნევისა და ხარჯის სარეგულაციო სარქველი; 23. ინდმეწარმე სოფლად.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რეზერვი; 2. ვესტფალია; 3. ჟორდანია; 4. ჰეროიკა; 5. მეტისი; 9. ბრინჯი; 11. რონდელი; 12. მიკადო; 14. კალმანი; 18. იგავი; 19. მუაში.

თარაზულად: 4. ჰამერი; 2. მალევიჩი; 6. ხომლი; 7. პროთეზი; 8. სტამბა; 10. ოდერი; 13. ვაკისი; 15. აქციზი; 16. იოდი; 17. ბაკი; 20. მარულა; 21. ქოჩარი; 22. პავიანი; 23. შუამთა.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. სტატია; 2. ჩხუტი; 3. რომი; 5. ბუგატი; 6. ცხუმი; 7. ბურნუთი; 11. ნესტლა; 13. არაბული; 14. პრადო; 15. კოდექსი; 16. ოპერეტა; 17. ჩაკირი; 19. აპაჩი; 20. არფა.

თარაზულად: 1. საჩხერე; 4. ბზობა; 8. მრუმე; 9. გურუ; 10. ტიტანი; 12. კნესეტი; 14. პატი; 15. კინეტიკა; 16. ოკაცე; 18. სტეკა; 21. კელია; 22. ტელფერი; 23. ჩარდაში.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

16 ნოემბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7008	ევრო — 2.9314
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3649	100 რუსული რუბლი — 3.0369

ამინდის პროგნოზი 16 ნოემბრისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაპოლის ახალი მთავარი მწვრთნელი ვალტერ მაცარია

ნაპოლის ახალი მწვრთნელი ვალტერ მაცარი იქნება. ამის შესახებ ინფორმაციას გუნდის ოფიციალური ვებ-გვერდი ადასტურებს.

აღსანიშნავია, რომ მაცარი უკვე წვრთნიდა წარსულში ნაპოლის 2009-13 წლებში და მაშინ, მისი დირიჟორობით, ნაპოლი საკმაოდ კარგ შედეგებს აჩვენებდა. მაცარი ნაპოლის სეზონის ბოლომდე განწვრთნის.

შეგახსენებთ, რომ ნაპოლიმ რუდი გარსია რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლა ემპოლისთან საკუთარ მოედანზე წაგების შემდეგ. ხვიჩა კვარაცხელიას გუნდმა სეზონი საკმაოდ ცუდად დაიწყო და მათ იტალიის ჩემპიონობა გაუჭირდებათ.

ლელა წურწუმიამ ახალი კლიპი გადაიღო

მომღერალმა ლელა წურწუმიამ ახალი სიმღერა ჩაწერა და მასზე ვიდეორგოლიც გადაიღო.

„აღარ მინდა მე შენთან“ – ასე ჰქვია სიმღერას, რომელიც კომპოზიტორმა მაიკო კაჭკაჭიშვილმა დაწერა. სიმღერის ტექსტიც მაიკოს ეკუთვნის.

ლელას ვიდეორგოლზე რეჟისორმა ზაზა ორაშვილმა იმუშავა. კლიპის პრემიერა ტელეკომპანია „მთავარის“ ეთერში შედგა და ათასობით მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა.

რობერტ ლევანდოვსკი: „ბარსელონამ უფრო მეტი მომენტი უნდა შექმნას“

ბარსელონას ფორვარდმა რობერტ ლევანდოვსკიმ გუნდის კრეატიულობაზე ისაუბრა და თქვა, რომ ბარსელონას დონის გუნდი უფრო მეტ სახიფათო მომენტს უნდა ჰქმნიდეს. ლევანდოვსკის აზრით, კატალონიელები ამ ასპექტს გამოასწორებენ:

– ბოლო შეხვედრებში აშკარად გვაკლია სიმწვავე და მეტოქე გუნდის კართან ბევრ მომენტს ვერ ვქმნით, ამიტომ ამაზე უნდა ვიმუშავოთ. მიხარია, რომ ალავესთან შევძელი გოლების გატანა და ფორვარდისთვის ეს მნიშვნელოვანია.

ანრი ჯოხაძის მეორე კონცერტის ბილეთებიც ელვის სისწრაფით გაიყიდა

მომღერალმა ანრი ჯოხაძემ თბილისში პირველი სოლო-კონცერტი დააანონსა. 29 ნოემბერს ის მსმენელს თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში შეხვდება.

ბილეთების გაყიდვის გამოცხადებიდან რამდენიმე საათში ანრის კონცერტზე დასასწრები ბილეთები სრულად გაიყიდა. მაყურებელთა თხოვნით, მომღერალმა მეორე საკონცერტო დღე, 30 ნოემბერიც დაამატა. 2.500-კაციანი დარბაზის ბილეთები რამდენიმე საათში აღარ იყო.

ანრი ჯოხაძე:

– წარმოუდგენელი რამ ხდება ჩემს თავს! 2 კვირით ადრე, ორივე კონცერტის ყველა ბილეთი გაყიდულია! მადლობა ასეთი ერთგულებისთვის!

ჯუდ ბელინგემი: „ტრავმა არ მადარდებს“

მადრიდის რეალის ერთ-ერთ ლიდერს, ჯუდ ბელინგემს, მცირე ტრავმა აქვს, რის გამოც, მან შესაძლოა, გუნდისა და ეროვნული ნაკრების რამდენიმე შეხვედრა გამოტოვოს, მაგრამ, ჯუდის თქმით, მას ეს ნაკლებად ადარდებს:

– ტრავმები ფეხბურთის განუყოფელი ნაწილია და ვიცი, რომ რაღაც პერიოდი დასვენება მომიწევს, მაგრამ ეს არ მადარდებს, რადგან ვიცი, მალე დავბრუნდები და განვაგრძობ ჩემი საქმის კეთებას.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ნინო ქათამაძე უკრაინამ მეორედ დააჯილდოვა

მომღერალმა ნინო ქათამაძემ უკრაინისგან სახელმწიფო ჯილდო მეორედ მიიღო. მას სპეციალური მედალი და სიგელი „მჯერად უკრაინის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალ ვალერი ზალუჟნის ინიციატივითა და ხელმოწერით გადაეცა.

დაჯილდოება უკრაინის დედაქალაქ კიევში გაიმართა, სადაც ნინო ქათამაძე ნიკოლოზ რაჭველთან ერთად საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობისთვის ჩავიდა.

ონში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ჭიშკარი ნადგურდება

რაჭაში, ონში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ჭიშკარი სავალალო მდგომარეობაშია.

ინფორმაცია სალომე ცისკარაულმა გაავრცელა:

– სავალალო მდგომარეობაშია ეს საოცრება. ონში, მოედნის ქუჩის 32 ნომერში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე ჭიშკარია, რომელიც კალატოზმა კონსტანტინე ბენდიანიშვილმა 1909 წელს ააგო.

ხელობა კალატოზს ბერძნებისგან შეუსწავლია. ონში რამდენიმე შენობა-ნაგებობაა, რომლებზეც მისი შრომაა წარმოდგენილი.

უპირველესად, ძეგლს სასწრაფოდ ესაჭიროება გამაგრებითი სამუშაოები, შემდეგ რეაბილიტაცია. როგორც ვიცი, არაერთი წერილია გადაგზავნილი სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანიზაციაში.

გამაგრებითი სამუშაოები დიდ თანხებთან არ იქნება დაკავშირებული... გთხოვთ, ჩაერთოთ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობა, კულტურული მემკვიდრეობის დამცველი ორგანიზაციები, იქნებ გადავარჩინოთ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

პროექტ „კუნძულის“ გამარჯვებული ნათია ბაკურაძე გახდა

ტელეკომპანია „იმედის“ რეალური შოუ „კუნძულის“ პირველი სეზონის გამარჯვებული მოცეკვავე ნათია ბაკურაძე გახდა.

მისმა წამყვანებმა მანიკა ასათიანმა და ირაკლი მაქაცარიამ კიდევ ერთხელ მიულოცეს პროექტის მონაწილეებს შოუს წარმატებით დასრულება. „კუნძულის“ მონაწილეები სხვადასხვა სფეროში ცნობილი ადამიანები არიან: მოცეკვავე ერეკლე გირგვლიანი, მსახიობი ცუცა კაპანაძე, მომღერალი ნუცა შანშიაშვილი, მოცეკვავე ფრიდონ სულაბერიძე, სპორტსმენი ლევან საგინაშვილი, ჟურნალისტი დათო ლიკლიკაძე, მსახიობი ნანუკა სტამბოლიშვილი, ინფლუენსერი თათია თექთურმანიძე, ძიუდოისტი გიორგი გველესიანი და მოცეკვავე ნათია ბაკურაძე. 10 ქართველი მონაწილე, დომენიკის რესპუბლიკაში, კარიბის ზღვის კუნძულზე მთავარი პრიზის მოსაგებად ჩავიდა, თუმცა, ფინალში მხოლოდ 3 მონაწილე მოხვდა – მსახიობი ნანუკა სტამბოლიშვილი, მოცეკვავე ნათია ბაკურაძე და ჟურნალისტი დათო ლიკლიკაძე.

მეგაპროექტ „კუნძულის“ პირველი სეზონის გამარჯვებული ნათია ბაკურაძე გახდა და მას საჩუქრად „ინნ დეველოპმენტისგან“ ბინა გადაეცა.

ჯეისონ სტეტჰემის მეუღლე წვეულებაზე გამჭვირვალე კაბით მივიდა

ბრიტანელი სუპერმოდელი როუზი ჰანტინგტონ-უაიტლი საზოგადოებაში ეროტიკულ სამოსში გამოწყობილი გამოჩნდა და ფოტოგრაფების ყურადღება მიიპყრო. ამ მოვლენის ამსახველი ფოტოსურთები ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

ცნობილი მსახიობის ჯეისონ სტეტჰემის 36 წლის მეუღლე The Inaugural Mothers, Ball-ზე გამჭვირვალე, მაქმანებიანი, სხეულზე მომდგარი გრძელი კაბით მივიდა, რომლის ქვეშაც მუქი ფერის ბოდი მოუჩანდა. ამავე დროს მოდელს ხელში გულის ფორმის პატარა ხელჩანთა ეჭირა, ფეხებზე მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები ეცვა. თმები უკან ჰქონდა შეკრული, სახეზე კი მსუბუქი მაკიაჟი ეკეთა.

აღსანიშნავია, რომ სუპერმოდელთან ერთად წითელ ხალიჩაზე მსახიობი აიდა ფილდი და მოდელი საბრინა ელბაც იწონებდნენ თავს.

თბილისის სიმფონიური ორკესტრი გრემის ნომინანტია

პირველად საქართველოს ისტორიაში თბილისის სიმფონიური ორკესტრი მსოფლიოს ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან დაჯილდოებაზე – გრემზე მოხვდა.

ინფორმაცია ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკისა და კულტურის ცენტრმა გაავრცელა:

– გამოქვეყნდა 2024 წლის „გრემის“ დაჯილდოების ნომინანტთა სია, რომელთა შორისაც ნომინაციაში „საუკეთესო ლათინო ჯაზ ალბომი“ მოხვდა ბრწყინვალე მუსიკოსის ივან ლინსის ალბომი, რომელიც თბილისის სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ჩაიწერა! ვულოცავთ ამ აღიარებას თითოეულ ორკესტრანსა და მაესტრო ვახტანგ კახიძეს, დაველოდოთ გრემის დაჯილდოების საბოლოო შედეგების გამოცხადებას.

კახა კანდელაკი, „ისთერნ პრომოუშენის“ ხელმძღვანელი:

– სულ ახალი უმაგრესი ამბები ამერიკიდან! რამოდენიმე საათის წინ დაიდო გრემის ნომინაციების სია და მაესტრო ვატო კახიძის თბილისის სიმფონიური ორკესტრი ნომინაციაშია! პირველად საქართველოს ისტორიაში! სასწაული ამბავია!

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ემილი რატაკოვსკიმ საკუთარი გარეგნობისადმი დამოკიდებულება გაამხილა

ამერიკელმა სუპერმოდელმა, მსახიობმა და დიზაინერმა ემილი რატაკოვსკიმ საკუთარი გარეგნობისის მიმართ დამოკიდებულებაზე ღიად ისაუბრა.

32 წლის მანეკენის თქმით, ადრე ცდილობდა, იმ სტანდარტებისადმი ყოფილიყო შესაბამისობაში, რომლებიც მისი წრისა და გარემოცვისთვის იყო დადგენილი.

– თუ საჭირო იყო, რომ სექსუალურად მიმზიდველი უნდა ვყოფილიყავი, ძალიან ბევრ მაკიაჟს ვიყენებდი. თუ უფრო სერიოზული საზოგადოების წინაშე უნდა წარვმდგარიყავი, მაშინ ნაკლებ მაკიაჟს ვიყენებდი, – აღიარა სუპერმოდელმა.

თუმცა, ამჟამად მას მეტად აღარ აღელვებს სხვების აზრი მის გარეგნობაზე.

– ახლა უკვე ჩემთვის სულ ერთია. სხვებს შეუძლიათ მიხვდნენ, თუ ვინ ვარ, თუ არა და... ეს უკვე მათი საქმეა... მომწონს ისეთად ყოფნა ,როგორიც ვარ, – განაცხადა დასასრულს რატაკოვსკიმ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. სახარატო ჩარხის ნაწილი, რომელშიც საჭრისი მაგრდება; 2. ქართველი თეატრალური მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი; 3. მდინარე მექსიკასა და აშშ-ში; 4. ნიუ იორკის ერთ-ერთი რაიონი; 5. მომღერალთა გუნდი; 9. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 11. საზაფხულო ფეხსაცმელი; 12. მეფეთა, მღვდელმთავართა ძვირფასი სამოსი; 14. ჭადრაკის პარტიის დასაწყისი პაიკის ან ფიგურის შეწირვით; 18. ევროპელ ებრაელთა სალაპარაკო ენა; 19. ოსური ცეკვა.

თარაზულად: 4. მაღალმთიანი კურორტი აჭარაში; 5. იაპონიის სახელმწიფო ჰიმნი; 6. ფერადი ლითონის თხელი ფირფიტა საკვები პროდუქტების შესაფუთად; 7. უღელტეხილი კახეთში; 8. შოკოლადით დაფარული ნაყინი; 10. ქვანახშირის გახურებით მიღებული მაღალხარისხოვანი საწვავი; 13. თიხის, ცეცხლგამძლე ლაბორატორიული ჭურჭელი; 15. ვაშინგტონის გარეუბანი, სადაც განთავსებულია აშშ-ის დაზვერვის ცენტრი; 16. მცირე ალკოჰოლიანი გამაგრილებელი სასმელი; 17. ჰიდროტექნიკური ნაგებობა მდინარეზე; 20. ლიტერატურული თამაში, იუმორისტული ლექსების შეთხზვა წინასწარ მოცემული რითმებით; 21. ფულის ერთეული ქუვეითში; 22. მეზღვაურთა მაუდის ქურთუკი; 23. ტყავის დამუშავების ოსტატი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა